პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

საქართ. და ტფილისის კომი-
ტეტის და სრულ. საქარ. მ.,
გ., წ. არმ. და მატროსთა დე-
პუტატების საბჭოთა ცენტრა-
ლური აღმასრულებელი კომი-
ტეტის ორგანო

რედაქცია: ტფილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: საქართველოში 100 000 მ. ქართ. ბონებით. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 5000 მანეთი

ქართ. ბონებით ყველგან

№ 213 — კვირა, 17 სექტემბერი 1922 წ. — ყოველდღიური გაზეთი — კვირა, 17 სექტემბერი 1922 წ. — № 213

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აუწყებს ყველა ამხანაგებს, საქ. კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრის ამხანაგ

ლაზარე კანდელაკის

უდროოვოდ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ა. წ. 15 სექტემბერს საღამოს 6 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან გრიბოედოვის ქ № 11, კვირას, 17 სექტემბერს, დილის 11 საათზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია აუწყებს ყველა ამხანაგებს, რომ ა. წ. 15 სექტემბერს, საღამოს 6 ს. უდროოვოდ გარდაიცვალა საქ. კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრი ამხანაგი

ლაზარე კანდელაკი

გამოსვენება საკუთარ ბინიდან გრიბოედოვის ქ. № 11, კვირას, 17 სექტემბერს დილის 11 საათზე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი აუწყებს თბილისის ორგანიზაციის ყველა წევრებს ძვირფასი ამხანაგის

ლაზარე კანდელაკის

გარდაცვალებას. გამოსვენება 17 სექტემბერს, დილის 11 საათზე, საკუთარ ბინიდან, გრიბოედოვის ქ. № 11.

თბილისის მაზრის კომიტეტი კომუნისტური პარტიის მწუხარებით აუწყებს ყველა ამხანაგებს საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრის ძვირფასი ამხანაგის

ლაზარე კანდელაკის

უდროოვოდ გარდაცვალებას.

ცირკულიარული

ყველა სამაზრო და საოლქო კომიტეტებს

ძვირფასო ამხანაგებო!

მენშევიკებმა, ნაციონალ-დემოკრატებმა და მემარჯვენე ფედერალისტებმა, დასავლეთ ევროპაში მათი კონტრ-რევოლიუციონური კამპანიის ჩაშლის გამო, რომელიც იყო მიმართული საქართველოში კაპიტალის, აზნაურების და თავადების ბატონობის აღდგენისაკენ და იმის გამო, რომ მათ ევროპის მტაცებლებთან ერთად ვერ მოახერხეს გაეხვიათ ქვეყანა სისხლის ღვრაში, გადმოიტანეს ბრძოლის სიმძიმის ცენტრი საქართველოს შიგნივ და ხელახლა სურთ გაახვიონ ქვეყანა სამოქალაქო ომის ალში.

მუშების და გლეხების მტრებს უნდა გამოუცხადოთ **დაუზოგავი ბრძოლა.** მშრომელთა მტრების წინაშე **უნდა ჩამოვხსნათ მათ ცრუ სოციალური ნიღაბი და ცოცხალი ფაქტებით გამოვააშკარავოთ მათი კონტრრევოლიუციონური მოღვაწეობა.**

ამის გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი წინადადებას გაძლევთ მუშების და გლეხთა კრებებზე დასვათ სპეციალურ საკითხად:

„მენშევიკების პროვოკაციული პოლიტიკა საქართველოში."

როგორც მასალა, უნდა ისარგებლოთ ამასთანავე დართულ თეზისებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის მდივანი **ხაბაშვილი.**

ც. კ. სააგიტ. საპროპაგანდო განყოფილების გამგის მოადგილე

ა. კვირიკაძე.

ქართველი მენშევიკების პროვოკაციული პოლიტიკა

(თეზისები)

1) ქართველი მენშევიკები, მემარჯვენე ფედერალისტები და ნაციონალ დემოკრატები საქართველოში და ევროპის ყველა გზაჯვარედინზე აწარმოებენ სიცრუის და ცილისწამების ბინძურ პროვოკაციულ კამპანიას, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

საბჭოთა ხელისუფლების თვითეული ღონისძიებას, რომელიც მიმართულია მშრომელთა კეთილდღეობისაკენ, განზრახ ამახინჯებენ და აწვდიან როგორც მთელ მსოფლიოს, ისე საქართველოს მუშებს და გლეხებს.

ევროპაში ამ ცილისწამების კამპანიის წინააღმდეგ აწარმოებენ ბრძოლას დასავლეთის კომუნისტური პარტიები.

საქართველოს მუშები და გლეხები უნდა იცნობდენ მენშევიკების, მემარჯვენე ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატების მთელ პროვოკაციულ პოლიტიკას, რათა სათანადოთ შეაფასონ იგი და გაუწიონ მას წინააღმდეგობა.

2) გენუის კონფერენციის წინაშე და ამ კონფერენციის მუშაობის დროსაც, ქართველი მენშევიკები, მემარჯვენე ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატები 2 და 2 ნახევ. ინტერნაციონალების დახმარებით მოითხოვდენ, რათა ბურჟუაზიულ ევროპას ძალა დაეტანებინა **საბჭოთა რუსეთისათვის** გაეყვანა **საქართველოს** საზღვრებიდან **წითელი არმია.**

საქართველოს მუშებმა და გლეხებმა საბჭოთა პირველ ყრილობაზე გამოტანილ დადგენილებებში და მოწოდებებში, მრავალრიცხოვან დემონსტრაციებში და ასეულ რეზოლიუციებში, დაამტკიცეს მენშევიკურ-მემარჯვენე ფედერალისტური განცხადების მთელი სიყალბე, რომ თითქოს **საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება ეყრდნობოდეს საქართველოში წითელ არმიის ხიშტებზე.**

საბჭოების პირველ ყრილობაზე გამოტანილ დადგენილებებში მუშებმა და გლეხებმა აღიარეს **რუსეთის წითელი არმია,** რომელთანაც მათ დაღვარეს სისხლი მენშევიკების და ყველა ჯურის ნაციონალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში **თავის საკუთარ არმიად.**

ამ არმიასთან საქართველოს მუშებმა და გლეხებმა შეუერთეს თავისი საუკეთესო შვილები და ძმები, და განამტკიცეს ძმური კავშირი ორ საბჭოთა რესპუბლიკის შორის.

წითელ არმიის საქართველოს საზღვრებიდან გაყვანის მოთხოვნაში მენშევიკურ-ნაციონალისტურ გუნდს შეუერთდა ხმა აშკარა იმპერიალისტებისა—ინგლისელების და ფრანგებისა

ქართველ მენშევიკების, ნაციონალ დემოკრატების და მემარჯვენე ფედერალისტების დახმარებით—იმპერიალიზმის მტაცებლები კიდევ ფიქრობენ ხელი უფათურონ ამიერკავკასიის სიმდიდრეებს.

3. საქართველოს დამოუკიდებლობის მთელი ისტორია სინამდვილეში მხოლოდ მითიურია.

ა. წ. 4 მარტს გამოცემულ ბროშურაში, რომელიც უძღვნეს გარდაცვალებულ **სილიბისტრო ჯიბლაძის** ხსოვნას, მენშევიკები თვითონ ამბობენ შემდეგს:

— „ჩვენ მშვენივრად გავითვალისწინეთ, რომ იმ დამოუკიდებლობას, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ რუსეთიდან (მუშურ-გლეხურ რუსეთიდან) ჩამოშორებით, ჩვენ ვერ შევინარჩუნებდით, თუ დავრჩებოდით განმარტოებულნი ძლიერი მოკავშირის გარეშე".

მენშევიკების და ნაციონალისტების მთელი პოლიტიკა მოჩვენებითი დამოუკიდებლობის 3 წლის განმავლობაში, მიმართული იყო ამ დამოუკიდებლობის ძიებისაკენ.

ვილგელმი, ალექსეევი, დენიკინი, საფრანგეთის და ინგლისის ყაჩაღები, ვრანგელი, აი ვინ იყვენ მენშევიკურ საქართველოს მოკავშირეები. საბჭოთა რუსეთის მუშები და გლეხები—აი ვინ იყვენ საქართველოს მუშების და გლეხების მოკავშირეები, რომელთაც დაამხეს მენშევიკების, თავადების და აზნაურების ბატონობა.

4. მენშევიკები და ყველა ჯურის ნაციონალისტები ღაღადებენ ყველა გზაჯვარედინზე, რომ მოსკოვის წითელმა კოლონიზატორებმა გაიტანეს საქართველოს საზღვრებიდან საქართველოს ხალხის მთელი სიმდიდრე, გლეხების მეურნეობის ზედმეტი ნაწარმოები.

მშიერი **რუსეთი,** გალატაკებული და ნახევრად ტიტველი აწვდის საქართველოს იმას, რაც მას შეუძლია. საბჭოთა რუსეთმა დაუბრუნა ქართველ ხალხს საისტორიო, სამუზეუმო და საარქივო ხასიათის ყველა განძეულობა, რომელიც გატანილი იყო მეფის თვითმპყრობელობის ასი წლის განმავლობაში.

ასე სძარცვავს საბჭოთა საქართველოს, საბჭოთა რუსეთი.

5. ნაციონალისტების ძიებათა უშედეგობამ დასავლეთში, გენუის კონფერენციის კრახმა აიძულეს საქართველოს კონტრ-რევოლიუციონერები ხელახლა გადაეტანათ თავიანთი მუშაობის სიმძიმის ცენტრი საქართველოს შიგნივ. ქართველი მენშევიკები, ნაციონალ დემოკრატები და მემარჯვენე ფედერალისტები ფიქრობენ თავზე მოახვიონ საქართველოს გლეხებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა, ამახინჯებენ რა თავის პროკლამაციებში უკანასკნელის ღონისძიებებს სასურსათო და მიწათ მოქმედების პოლიტიკის სფეროში.

6. საბჭოთა ხელისუფლებამ, რათა გამოკვებოს ქალაქის მუშები, რათა შეადგინოს ფონდი უმიწაწყლო და დამშეულ გლეხობისათვის, ახდევინებს სასურსათო გადასახადს ყველაზე უფრო შეძლებულ გლეხობას.

მენშევიკებმა შაჰნეს განგაში ძარცვის და „ბატონ ყმურ" სასურსათო გადასახადის შესახებ. საქართველოში შეკრებულია, უმთავრესად შეძლებულ გლეხებს შორის 128.000 ფუთი ხორბალი და სიმინდი. დაურიგდა ყველაზე უფრო გაჭირვებულ გლეხობას, სათესლე მასალის სახით, დაახლოვებით 400.000 ფუთი ხორბლეული.

დამშეულმა მაზრებმა მიიღეს ნატურით და ფულად 200.000 ფუთი სურსათი. 600.000 ფუთი საბჭოთა ხელისუფლებამ დაურიგა გლეხობას, ხოლო 128.000 გამოართვა.

სინამდვილე—არის საუკეთესო პასუხი მენშევიკების სიცრუეზე.

7. ქართველი მენშევიკები და ნაციონალისტები აქ ჩვენში, საქართველოში და ევროპაში ავრცელებენ სიცრუეს და ცილისწამებას, რომ თითქოს ქართველი გლეხობა გაძარცულია, განადგურებულია, დღითი დღე ღატაკდება, რომ „საოკუპაციო მთავრობა" მას არაფერ დახმარებას არ უწევს.

თავის ბატონობის დღეებში, მენშევიკური მთავრობა ელაპარაკებოდა გლეხობას მხოლოდ თოფების და ტყვიის მფრქვეველების ენით, დეე ყველამ მოიგონოს ლეჩხუმი, ცხინვალი, დუშეთი, სამეგრელო, საჩხერის რაიონი, რაჭის მაზრა, გურია და სამხრეთ ოსეთი, სადაც ბატონი **ჯუღელი და დგებუაძე** ხვრეტავდენ ქართველ გლეხობას, რომელიც იბრძოდა მიწისათვის აზნაურების და მემამულეების წინააღმდეგ.

თავის არსებობის წელიწად ნახევრის განმავლობაში **საბჭოთა ხელისუფლებამ არ იცის გლეხთა არც ერთი აჯანყება.**

და რა მისცა **საბჭოთა ხელისუფლებამ** გლეხობას?

8. კულაკების ძლიერი ბატონობა ძირიან ფესვიანად ნადგურდება **საბჭოთა ხელისუფლების** მიერ; უკანასკნელმა ფართო გზა გაუხსნა გლეხობის სამეურნეო თაოსნობას. სოფლის კულაკები კი სარგებლობენ რა სიმშილობით, ხმარობენ გამდიდრებისათვის მტაცებლურ საშუალებებს. კულაკი -5-6 ფუთ ხორბლად ყიდულობს მშიერ-ტიტველ გლეხისაგან დესეტინა საუკეთესო ნათეს. საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული დეკრეტით 17 აგვისტოს თარიღით, უკანონოთ გამოაცხადა ყველა ეს მონური ხელშეკრულებანი. საბჭოთა ხელისუფლება მტკიცეთ სდგას მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე.

9. საბჭოთა ხელისუფლების დროს გლეხობამ, როგორც იქნა, მიიღო ის ბინა, რომლის მიღებასაც ის ხანგრძლივად და ტყუილ უბრალოდ სცდილობდა მენშევიკების დროს. **საბჭოთა ხელისუფლებამ** მოსპო კერძო საკუთრება მიწაზე. **საბჭოთა ხელისუფლებამ** არგუნა ბინა ულარიბეს გლეხობას. **საბჭოთა ხელისუფლებამ** მოაწესრიგა მიწად მფლობელობის საქმე, გამოსცა რა დეკრეტი—მიწად მოწყობის და მიწათ სარგებლობის შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლებამ პირველად დააყენა საკითხი საქართველოს გლეხობისათვის სათესლე მასალით დახმარების აღმოჩენის შესახებ, მოაწყო რა ფართო თესვის კამპანია. გლეხობამ 21 წლის შემოდგომაზე და 22 წლის გაზაფხულზე მიიღო 400.000 ფუთი სათესლე მასალა. ამ ჟამად დათესილია უფრო მეტი ვიდრე ოდესმე და კარგი მოსავლის წყალობით **საქართველოს** შეუძლია ფეხზე წამოდგეს 21 წლის შიმშილობის შემდეგ.

10. მენშევიკები ყოველ დღე სწერენ დასავლეთ ევროპის პრესაში **საქართველოს** დაუსრულებელ გლეხთა აჯანყების შესახებ, მისი წითელ არმიასთან შეუწყვეტელი ბრძოლის შესახებ... ამავე დროს საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით გლეხობა შეუსვენებლივ მუშაობს თავის მეურნეობის გასაუმჯობესებლად. თავის მინდვრების მოსარწყავად, დამბების მოსაწყობად და სხვა, დღეს მშრომელმა გლეხობამ მოიპოვა ის, რის მოპოვებასაც იგი ტყუილად სცდილობდა მრავალ წლების განმავლობაში როგორც მეფის რეჟიმის ისე მენშევიკების ბატონობის დროს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან წელიწად ნახევარის განმავლობაში დაწყებულია და გათავებული 90 ვერსის მანძილზე სარწყავი არხები, რომელიც მორწყავს 15.000 დესეტ. მიწას. მოკლე ხანში დამთავრდება ის არხები, რომელიც მორწყავს 36 500 დესეტინა მიწას. ამნაირად ქართველი გლეხობა თავისი მუშაობით აბათილებს მენშევიკების და ყოველი ჯურის ნაციონალისტების სიყალბეს და ცილისწამებას.

11. რუსეთის მეფობის მუდმივ საყრდნობად ითვლებოდა ხუცების ხროვა ეკლესიის თავადების მეთაურობით, იყვნენ აგრეთვე აზნაურები და მემამულეები—„ნამდვილი რუსის ხალხი". „რუსეთის წითელი იმპერიალიზმის" დაუძინებელი მტრები—მენშევიკები ერთიანი ფრონტით გამოდიან პატრიარქ ამბროსისთან, რუსეთის შავრაზმელებთან და ნაციონალისტებთან ერთად საქართველოს მუშების და გლეხების წინააღმდეგ.

„რუსის ხალხის" მონარქისტები, „პოგრომშჩიკები" გამოდიან ფეხქვეშ გათელილ და შეურაცყოფილ მენშევიკების დროშის დასაცავად.

12. იმ ბრძოლაში, რომელსაც მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი აწარმოებს კაპიტალის წინააღმდეგ ერთიან ფრონტით გამოდიან საბჭოთა რესპუბლიკების მუშების და გლეხების წინააღმდეგ ყოველი ჯურის კონტრ-რევოლიუციონერები. აქ საპატიო ადგილი ეჭირათ და უჭირავთ კიდევ ქართველ მენშევიკებს, ნაციონალ-დემოკრატებს და მემარჯვენე ფედერალისტებს. ოქტომბრის რევოლიუციის დღიდან მენშევიკური საქართველო იყო საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციის ბუდე.

მენშევიკები და მემარჯვენე ფედერალისტების პარტიებმა, არას ვტყვით ნაციონალ დემოკრატების შესახებ, ნათლად გამოაშკარავეს თავისი სახე, რომ ისინი არიან შავი რეაქციის იარაღი.

ისინი ამჟამად, აჯანყდენ რა თავადების, აზნაურების და კულაკების მეთაურობით, სცდილობენ გაახვიონ ქვეყანა გრანდიოზულ ომში, შიმშილის და განადგურების ტალღებში.

იმდენად რამდენადაც ეს ასეა საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა უნდა იყოს **დაუზოგავი ბრძოლა ქართველ მენშევიკების,** ნაციონალ-დემოკრატების და მემარჯვენე ფედერალისტების წინააღმდეგ.

ამ ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლება გამარტოებული არ იქნება: **მუშების და გლეხების ფართო მასებს, რომელნიც იცნობენ მენშევიკების,** ნაციონალ დემოკრატების და მემარჯვენე ფედერალისტების **მოღვაწეობას, გვერდში ამოგვიდგებიან ჩვენ და გაგვიწევენ დახმარებას.**

განადგურებულ სახალხო მეურნეობის აღსადგენად დაუღალავ მუშაობაში ჩაბმულნი, საბჭოთა რუსეთის მშრომელებთან ხელიხელ ჩაკიდებულნი — კიდევ უფრო შეკავშირებულნი შრომის წითელი დროშის ქვეშ,—საბჭოთა საქართველოს მუშები და გლეხები მისცემენ პასუხს ქართველ მენშევიკების სიცრუის და ცილისწამების პროვოკაციულ პოლიტიკას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება

დაუნდობელი ბრძოლა ბანდიტიზმის მეგობრებს

რევოლიუციის ხუთი წლის განმავლობაში ბევრ რამეს მოეფინა დღის სინათლე, კერძოდ ნათლად გამოირკვა ჩვენში მომქმედ პოლიტიკურ პარტიების ბუნება და მისწრაფებანი.

რევოლიუცია ისეთი ხანაა, როცა საზოგადოებრივ ძალთა შეჯახებას, კლასთა შორის ბრძოლას უმაღლესი და მკაფიო სახე ეძლევა. და აქ ნიადაგი ეცლება ამა თუ იმ პარტიის ბუნდოვან პოზიციას, ფარდა ეხდება მის ფიზიონომიას. ყოველი პარტია იძულებულია გამოვიდეს ცხოვრების სცენაზე თავისი ნამდვილი, გაშიშვლებული სახით და განზრახვებით.

ყოველი პოლიტიკური პარტიის წინაშე მხოლოდ ორი გზა მოჩანდა: გზა რევოლიუციისა და გზა კონტრრევოლიუციისა. ან მუშათა კლასთან ერთად, ან ბურჟუაზიასთან მუშათა კლასის წინააღმდეგ.

მენშევიკები იმ თავითვე უყოყმანოდ დაადგენ კონტრ რევოლიუციის გზას და ბარიკადების იქეთა მხარედან ბურჟუაზიასა და თავად-აზნაურობასთან ერთად გამოუცხადეს დაუნდობელი ბრძოლა მუშათა კლასს, ბრძოლა, რომელიც დღესაც გრძელდება.

რევოლიუციიდან თავის დასაცავად მათ აღმართეს „დამოუკიდებლობის" კედელი და აქ ისინი შეუდგნენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შენება განმტკიცებას.

რაკი ეს დაისახეს თავის მთავარ მიზნად, ცხადია, ისინი ვერ გადაჭრიდნენ ვერც ერთ საკითხს, რომელიც წამოაყენა რევოლიუციამ.

ადგილ-მამული შერჩა მემამულეებს, ან მით სარგებლობდნენ მათი კაცები ცრობების სახით, რომელნიც იჯარით აძლევდნენ მიწას მშრომელ გლეხობას. მუშები ისევ დარჩენ უფლება აყრილნი. ბურჟუაზია, მენშევიკების, და მათი სატარიფო პალატის დახმარებით, ძველებურად ეწეოდა დაქირავებულ შრომის უსაზღვრო ექსპლოატაციას. ისინი უწინდებურად ბნელ და ნესტიან სარდაფებში იყვნენ მომწყვდეულნი.

ნაციონალურ დამოკიდებულებათა სფეროში მენშევიკებმა ჯვაროსნული ომი გამოუცხადეს ეროვნულ უმცირესობათ: სომხეთსა, ოსეთსა, აფხაზებსა, რუსებსა და სხვებზე პირდაპირ ნადირობა იყო გამართული.

ეკლესია დატოვეს ხელუხლებელი და სამღვდელოებას სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული ეკლესია-მონასტრების განძეულობათა გასაძარცვავად.

ჩვენი ცხოვრების რომელი დარგიც გინდათ აიღოთ, არსად არ მომხდარა გარდატეხა, ძირითადი ცვლილება.

ან სად შეეძლო ცხოვრების ძირითადი გარდაქმნის მოხდენა იმ ხალხს რომელიც უაღრესად კონსერვატიული ბუნების მატარებელი აღმოჩნდა. ახალ ფორმებს და იდეებს ისინი გაურბოდნენ, როგორც საფრთხობელას. ისინი ეკვებებოდნენ ძველი, დახავსებულ იდეებით, რომლებსაც რევოლიუციონური ხასიათი ჰქონდა, ვსთქვათ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს, მაგრამ რომელნიც მეოცე საუკუნეში, მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის ხანაში, უეჭველად არქაისტულ და რეაქციონურ ხასიათის მატარებელია. ასეთია კერძოდ დამფუძნებელ კრების იდეა. მენშევიკებმა ბრმად ჩასჭიდეს ხელი ამ იდეას და დამფუძნებელ კრების საშუალებით მოახდინეს ხალხის ნებისყოფის უდიდესი ფალსიფიკაცია. სალაყბოდ ქცეული დამფუძნებელ კრების რეჟიმი არსებითად იყო რეჟიმი ბურჟუაზიის დიქტატურისა.

ისეთი უდიდესი მონაპოვარი მეოცე საუკუნისა და ოქტომბრის რევოლიუციისა, -როგორიცაა საბჭოთაა სისტემა,—მენშევიკებისათვის გაუგებარი და მიუღებელი აღმოჩნდა.

საბჭოთა სახელმწიფო ეს ისეთი ორგანიზაციაა, რომლითაც მუშათა კლასი ხმარობს თავის კლასობრივ მტრებს და ქმნის პირობებს სოციალიზმისაკენ გარდასასვლელად.

და ცხადია, რომ საქართველოს მუშათა კლასი იბრძოდა საბჭოთა წყობილების დასამყარებლად და მოლალატე მენშევიკების ასალაგმავად.

სასტიკი იყო ეს ბრძოლა. მენშევიკები ბურჟუაზიის, მემამულეების და საოკუპაციო ჯარების—გერმანელების, ინგლისელების და სხვათა დახმარებით, სისხლში ახრჩობდნენ მშრომელ მასების განუწყვეტელ აჯანყებებს.

მაგრამ არ არის ძალა, რომელიც ბოლოს და ბოლოს გაუძლებს მშრომელ ხალხის აბობოქრებულ ტალღას.

გმირული და სისხლიანი ბრძოლით გადაიგდო ჩვენმა მუშათა კლასმა თავის კისრიდან მენშევიკების მძიმე უღელი და თავისი, საბჭოთა წყობილება დაამყარა

მაგრამ ბატონ მენშევიკებს და ყველა მათთან მყოფთ ამის შემდეგაც არ დაუყრიათ იარაღი. მათი ნაწილი, უმთავრესად მენშევიკების „გენერლები" გაიქცა საზღვარ გარეთ, გაიტაცა რა თან ხალხის უამრავი ქონება.

ისინი ევროპაში დადიან კარდაკარ და მოუწოდებენ ევროპის იმპერიალისტებს საქართველოს ინტერვენციისათვის, რათა აღიარონ თავიანთი ბატონობა. ისინი იქ ავრცელებენ ათასგვარ ჭორებს, რომლებითაც სახელს უტეხენ საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენში: თითქო აქ ხდებოდეს ხალხის აჯანყებები, მშრომელი მასსა წინააღმდეგი იყოს საბჭოთა ხელისუფლების, თითქო ეს უკანასკნელი მხოლოდ ხიშტზე იყოს დამყარებული, თითქო იგი ანგრევდეს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას, თითქო ძარცვავდეს ქართველ ხალხს და ეს ნაძარცვი გაჰქონდეთ რუსეთში და სხ.

უნდა ითქვას ამ პროვოკაციის გავრცელებაში მათ დიდად ეხმარებოდნენ მათი მონათესავე ორგანიზაციები—პროლეტარიატის გამყიდველი პარტიები—2 და 2 ნახ. ინტერნაციონალები, რომელნიც როგორც ბურჟუაზიის აგენტები, სასიცოცხლოთ არიან დაინტერესებულნი კომუნისტურ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლებისათვის სახელის გატეხით მუშების თვალში, რომელნიც უფრო და უფრო თანაგრძნობით ეკიდებიან საბჭოთა რეჟიმს.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მენშევიკების ხეტიალი ევროპაში სამარცხვინოდ დასრულდა. მათმა „მოღვაწეობამ" არავითარ რეალურ შედეგებს არ მიაღწია. უკანასკნელად გენუის კონფერენციაზედაც ჩაეცა ლახვარი მათ და დაიმსხვრა მათი ოცნება იმპერიალისტების მიერ საქართველოს ოკუპაციისა.

მეორე მხრივ, ჩვენში დარჩენილი მენშევიკებიც არ ჩამორჩენ გაქცეულ თანამოძმეებს. დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, ისინი ცდილობდნენ შეექმნათ ხალხში უკმაყოფილების ატმოსფერა მუშურ გლეხურ მთავრობის წინააღმდეგ, აემხედრებიათ ის. კიდეც სცადეს რამოდენიმეჯერ გამოსვლები, რომელნიც ასე სამარცხვინოდ დასრულდა. მაგრამ მთავარი მათი იმედი მაინც საზღვარგარეთიდან დახმარებაზე იყო დაფუძნებული. ამ ბოლო დროს ეტყობა, მათ გაუცრუვდათ ამ მხრივ იმედი და მოქმედების ცენტრი ისევ აქ გადმოიტანეს.

მაგრამ თუ რამდენად უმწეონი არიან და ყოველ მხრივ გაკოტრებულნი ისინი, ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს ის გარემოება, რომ მენშევიკებს სხვა არავინ აღმოაჩნდათ ჩვენს საზოგადოებაში მოკავშირეები, გარდა ტყეში გავარდნილ ყაჩაღებისა, ყოფილ თავადებისა და სოფლის კულაკებისა. მათი დახმარებით ცდილობენ ბატონი მენშევიკები მშვიდობიან ცხოვრების აფორიაქებას, საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობითი მუშაობის გაძნელებას.

ხოლო მთელი მშრომელი მასსა ურყევად უჭერს მხარს საბჭოთა რეჟიმს და მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას.

ეს მასსა დარწმუნდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება იცავს მის ინტერესებს და იღწვის მის კეთილდღეობისათვის. ამას ამტკიცებს მისი გმირული მუშაობა სასოფლო მეურნეობის ასაღორძინებლად, უაღრესად მიზანშეწონილი აგრალური რეფორმა, უდიდესი დახმარება დამშეულებს და შეუძლო მშრომელ ხალხს და სხ.

რაც შეეხება მენშევიკების პროვოკაციას საბჭოთა რუსეთის მიერ ქართველი ხალხის „გაძარცვის" შესახებ, მშრომელი ხალხი ხედავს, რომ რევოლიუციონურმა რუსეთმა აღმოუჩინა მას საგრძნობი დახმარება მაშინაც კი, როცა თვითონ ძალიან გაჭირვებული იყო. ამ „ძარცვას" მოწმობს სხვათა შორის, ის ფაქტიც, რომ მან დაუბრუნა საქართველოს სხვა დროს აქედან გატანილი კულტურული ღირებულებანი.

ეს ყველაფერი იცის ჩვენმა ხალხმა და ამიტომაა რომ მენშევიკების პროვოკაციას არავითარი გასავალი არა აქვს.

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, თუ ვის ემსახურებიან ბატონი მენშევიკები, მემარჯვენე ფედერალისტები და ყველა მათთან მყოფნი.—ისინი ემსახურებიან კულაკებს, ბურჟუაზიას, მემამულეებს, თავად აზნაურობას და ცდილობენ ძველი რეჟიმის აღდგენას.

ამიტომ დაუნდობელი ბრძოლა ამ კონტრ-რევოლიუციონერებს და ბანდიტების მეგობრებს—ამას მოითხოვს ხალხის სასიცოცხლო ინტერესი.

ჩვენი ამხანაგების მოვალეობაა ადგილობრივად განუმარტონ ხალხს მენშევიკების ვინაობა, მათი ზრახვები. ჩამოფხრიწონ მათ ნიღაბი.

მშრომელი მასსა, როგორც არა ერთხელ, ეხლაც გამოუტანს მათ სასიკვდილო განაჩენს და სამარცხვინო ბოძზე გააკრავს.

ამხ. ლაზარე კანდელაკი

ჩვენ პარტიას გამოაკლდა ერთი უერთგულესი მუშაკი—ამხ. **ლაზარე კანდელაკი.** იგი იყო დაუღალავი და ყოვლად უანგარო მუშა. მიუხედავათ მძიმე ავადმყოფობისა, რომლითაც იგი კაი ხანია შეპყრობილი იყო, მან არ იცოდა მოსვენება, იგი დაუზოგველად ხარჯავდა თავის ძალას, ენერგიას.

პირველად გავიცანი ამხ. ლაზარე 1919 წლის ბოლოს მეტეხის ციხეში. იმოდენა დატუსაღებულ ამხანაგებში იგი ახდენდა საუკეთესო შთაბეჭდილებას, მაგრამ ყველანი ამჩნევდა, რომ ამხ. ლაზარე უკიდურესათ დაავადმყოფებული იყო და საპყრობილეში ყოფნა მისთვის მეტად მავნებელი და საბედისწერო გახდებოდა. ამხანაგები ღებულობდენ ზომებს მის განსათავისუფლებლად, მით უმეტეს, რომ იმ დროს ამხ. ლაზარეს მენშევიკების მთავრობა საქართველოში მუშაობას არ აბრალებდა. რამდენადაც მახსოვს ამხ. კანდელაკი მაშინ განთავისუფლებულ იქნა და იგი წავიდა საბჭოთა რუსეთში სამუშაოდ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ამხ. ლაზარე შეუდგა მხურვალე მუშაობას განსაკუთრებით პარტიაში. ჯერ იგი მუშაობს ცეკაში, შემდეგ გადადის ტფილისის კომიტეტის მდივნათ. რამდენიმე ხნის შემდეგ, გასული წლის ივნისში ამხ. ლ. კანდელაკი ინიშნება **ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრათ,** რომელშიაც იგი უკანასკნელ დღემდე შეუწყვეტლათ მუშაობდა.

უნდა განვაცხადო, რომ ამხ. ლაზარე სწორედ განსაკუთრებული ადამიანი იყო. მის ადგილას სხვა დიდი ხნიდან უკუაგდებდა ყოველივე საზოგადო საქმეს და თავისი საკუთარ ჯანმრთელობაზე დაიწყებდა ზრუნვას. თითეული ჩვენგანი აშკარად ხედავდა, თუ როგორ იწვებოდა და თვალდათვალ დნებოდა ეს იშვიათი ადამიანი. რამდენიმეჯერ მომინდომებია მეთქვა მისთვის: კაცო, ცოტა დაისვენე, მოშორდი ამ მძიმე მუშაობას. მაგრამ ვიცოდი რა მისი ხასიათი, ყოველივე ასეთ დარიგებას უადგილოთ ვთვლიდი.

ჩვენმა ამხანაგებმა იციან, თუ რა არის საკონტროლო კომისია და რამდენათ ძნელია იქ მუშაობა, თუ რაგვარ მოვლენებთან უხდება იქ კაცს საქმე. უდიდესი ობიექტივობა და პატიოსნება,—აი რა არის აუცილებელი პირობები საკონტროლო კომისიაში მუშაობისა; სულ მცირეოდენი გადახვევა ამ გზიდან საკონტროლო მუშაობას ხდის არა თუ უნაყოფოდ, არამედ პირდაპირ მავნებლათ.

ამხ. ლ. კანდელაკზე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მან თავისი ობიექტივობით, თავისი გულწრფელობით და პარტიისადმი სიყვარულით დაიმსახურა მართლაც **მიუდგომელი და პატიოსანი ამხანაგის სახელი.** შეიძლება ითქვას, რომ ამხ. ლაზარეს ამ შემთხვევაში ეჭირა განსაკუთრებული ადგილი. რაც ამოქმედებდა მას ამ საქმეში, ეს იყო პარტიისადმი განუზომელი სიყვარული და ერთგულება. იგი იბრძოდა პარტიის გასაწმენდათ უვარგისი ელემენტებისაგან, სულ ერთია, ვინც უნდა ყოფილიყვნენ ეს უკანასკნელები, და თუ მისი მრავალტანჯული სიცოცხლე შემოკლდა, ეს აიხსნება მისი დაუღალავი შრომით ამ ნიადაგზე.

ამხ. ლაზარე ჩვენი პარტიის ერთი უერთგულესი ჯარისკაცთაგანი იყო. იგი უკანასკნელ წუთამდე ღირსეულათ იდგა რევოლიუციონურ პოსტზე და ამ მხრივაც მისი მაგალითი მისაბაძავი უნდა შეიქნეს.

საუკუნო იქნება შენი ხსენება შენ ამხანაგების გულში, ძვირფასო ამხანაგო ლაზარე.

ფ. მახარაძე.

სასურსათო გადასახადის კამპანია

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობებით, რომელიც მიღებულია სექტემბრის 16-სთვის, აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში, სადაც გადასახადი უკვე გროვდება, აკრებილია ხორბლეულის ერთეულით 217 097 ფუთი.

გადასახადის აკრეფა დაწყებულია აღმოსავლეთ საქართველოს ყველა მაზრაში. აქვე მოგვყავს იმისი ცხრილი, თუ თვითეულ მაზრას რამდენი აქვს შეწერილი, რამდენი აქვს გადახდილი და ეს გადახდილი ჯამი შეწერილ გადასახადის რამდენ პროცენტს შეადგენს.

მაზრები	რამდენი აქვს შეწერილი 1922 წლისთვის	რამდენი აიკრიბა	აკრებილი ჯამი შეწერილ გადასახ. რამდენ პროც. შეადგენს
გორის მაზრა	100.000	82.000	82.0
თელავის მაზრა	60.000	36.180	60.3
სამხრეთ ოსეთი	20.000	9 762	48.8
სიღნაღის მაზრა	100.000	40.303	40.3
ტფილისის მაზრა	70.000	22.900	32.7
ახალციხის მაზრა	60.000	14 744	24.5
თიანეთის მაზრა	20.000	3 608	18.0
დუშეთისა	35.000	3.044	8.5
ახალქალაქისა	40.009	2.564	6.4
ბორჩალოსი	80.000	1.937	2 4

რომელ თემშია სრულიად აკრეფილი გადასახადი?

გადასახადის სწრაფად შეტანაში ყველა თემს გაუსწრო ტფილისის მაზრის ავჭალის თემმა, რომელიც სამის დღის განმავლობაში შეიტანა მასზე შეწერილი 2,100 ფუთი ხორბალი და თავისივე ურმებით აგვისტოს 8-ს ტფილისში ზეიმით ჩამოიტანეს.

ამ მაგალითს მიბაძა ტფილისისავე მაზრის დიღომის თემმა, რომელმაც თავისი ხვედრი გადასახადი—1,300 ფუთი ხორბალი—მთლად შეაგროვა და სექტემბრის 12-ს ტფილისში ჩამოიტანა.

ამას გარდა თავისი ხვედრი გადასახადი დღეს უკვე გასტუმრებული აქვს გორის მაზრის ორს თემს: საციხურისას და ხაშურისას.

იმ ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობების მიხედვით, რომელიც სექტემბრის 15-ს დეპეშით მიიღო სახალხო სასურსათო კომისარიატმა, ყველაზე მეტი პროცენტი შეწერილ გადასახადისა გაისტუმრა გორის მაზრამ, რომელსაც დღემდე პირველობაში თელავის მაზრა ექიშპებოდა, სადაც აკრეფილია 36,180 ფ., ანუ 60.3 პროცენტი ამ მაზრაზე შეწერილ გადასახადისა.

მიღემულ დეპეშების თანახმად გორისა და სხვა მაზრებში მდგომარეობა შემდეგია:

გორის მაზრა. სასურსათო გადასახადის კამპანიის დაწყების დღიდან სექტემბრის 10-მდე მაზრაში აკრეფილია 82.000 ფუთი ხორბალი, ანუ 82 პროცენტი ამ მაზრაზე შეწერილ გადასახადისა. ამ ჟამად გადასახადის აკრება იწყება მთა გორიან ადგილებშიც, სადაც უკვე დაიწყეს მოსავლის დაბინავება.

ახალქალაქის მაზრა. აღმოსავლეთ საქართველოს იმ ცხრა მაზრას, სადაც წრევანდელ სასურსათო გადასახადის აკრეფა არის დაწყებული, ახალქალაქის მაზრაც მიემატა, აქ გადასახადის აკრეფა ამ დღეებში დაიწყო და სექტემბრის 13 მდე აკრეფილ იქმნა: ქერი—1,492 ფუთი, ხორბალი 842 ფ., ცხვარი—18 სული (68 ფუთი) და ჭვავი—776 ფ.

შარშანდელ გადასახადის ნარჩენის ანგარიშში შეგროვილია: ქერი 62 ფ. ხორბალი—34 ფუთი, ჭვავი—21 ფ. და სხვა. აგრეთვე შემოვიდა ფული.

ახალციხის მაზრა. სექტემბრის 1-დან 8-მდე წრევანდელ სასურსათო გადასახადის ანგარიშში აკრეფილია: ხორბალი—5.678 ფუთი, ქერი—411 ფ., ქერდიკა—22 ფუთი და ფულად 9.400,000 მან. სულ ხორბლეულის ერთეულით აკრეფილია 6.014 ხორბალი.

ბათუმი.

ბათუმის ნავსადგურში. ბათუმის ნავთსადგურიდან რუსეთში აგვისტოს განმავლობაში გატანილი იქნა 75505 ფუთი ტვირთი, ივლისში—237,200 ფ., ივნისში 241,372 ფ. ასეთი—32 პროცენტით შემცირება ტვირთების გატანისა რუსეთში აიხსნება საქონლის გატანის ნებართვის მიღების გართულებულ ფორმალობით.

სამხრეთ ოსეთი.

სასურსათო გადასახადი. 9 სექტემბრამდე მთელ სამხრეთ ოსეთში შეკრეფილია სასურსათო გადასახადის შემდეგი რაოდენობა. ხორბალი—9,076 ფ., ქერი 1.369 ფ. ქერის ფქვილი 3 ფ. ქართოფილი 2 ფ. ლობიო 2 ფ. სულ—10.450 ფ. ყოველ დღიურად შემოდის საგრძნობი რაოდენობა. ტომრების უქონლობა ართულებს შეკრეფის საქმეს. მცხოვრებლები შეგნებით ეპყრობიან სასურსათო გადასახადს და შემოაქვთ დაუბრკოლებლად.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე.

ცხინვალში ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე დიდი ზეიმით ჩატარდა.

დილით წითელი ახალგაზრდობა მოგროვდა ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის კომიტეტის წინ, საიდანაც გაემართა მუსიკით კარლ მარქსის ქუჩით, მოიარა მთელი ქალაქი და თავისუფლების მოედანზე მოაწყო დიდი მიტინგი. უპარტიო ახალგაზრდობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა ახალგაზრდა კომუნარების დღესასწაულს.

საღამოს მოეწყო კლუბში დიდი საღამო მიტინგი. გამოვიდნენ ორატორები ყველა პასუხისმგებელი ორგანიზაციებიდან. ორატორებმა ილაპარაკეს ქართულ, რუსულ, და ოსურ ენებზე. ყველა სიტყვებში ხაზს უსვამდნენ ბურჟუაზიულ და პროლეტარულ ახალგაზრდობათა შორის არსებულ განსხვავებას. მისალმებანი თავდებოდნენ ერთგულობის შეფიცვით საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რომელმაც მოსპო გაბატონებულ კლასების პრივილეგიები და მისცა მშრომელთა მასას შესაძლებლობა ეზიაროს განათლებას და მოაწყოს საზოგადოებრივი ცხოვრება ახალ-კომუნისტურ პრინციპებზე. მიტინგმა გაგზავნა დეპეშები რუს. ახალგ. კომუნისტ. კავშირის ცეკას, ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტს და საქართველ ახალგაზრდების კომუნისტურ კავშირის ცეკას. ადგილობრივად დღესასწაული ყველგან ასეთივე ენტუზიაზმით იქნა ჩატარებული.

ქრონიკა

✦ **ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა საერთო კრება.** 17 სექ., კვირას საღამოს 4 საათზე ქალაქის აღმასკომის კომუნალური მეურნეობის გარაჟში (მადათოვის კუნძული № 3) დანიშნულია ყველა არა-სამხედრო შოფერების, რომლებიც არ შედიან თავის ადგილკომში ან არა ყავთ რწმუნებული საერთო კრება, რომელზედაც დღ. წეს. იქნება შემდეგი საკითხები: კავშირის მიზნები, ყველა მოსამსახურე შოფერების ერთ ადგილკომში შეერთება, კავშირის წევრების ხელახალი აღწერა არა სასურველ ელემენტებისაგან გაწმენდით და არჩევნები. ცენტრალური გამგეობა თხოვს ყველა კომისარიატებს და სამეურნეო ნაწილის გამგეებს აღნიშნულ დროს განთავისუფლონ ყველა შოფერები.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომში.

✦ **მომავალი სესიის გამო. სისხლის სამართლის კოდექსი, პროკურატურა, ადვოკატურა.** იუსტიციის სახ. კომისარიატმა შეიმუშავა სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი და დებულება პროკურატურისა და ადვოკატურის შესახებ, რომელიც წარედგინება სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასკომს დასამტკიცებლად. სისხლის სამართლის კოდექსს საფუძვლად დაედო რუსეთში მიღებული კოდექსი, მაგრამ რასაკვირველია ზოგიერთი ცვლილებებით ადგილობრივ პირობების მიხედვით. ამის გარდა რ. ს. ფ. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსს აქვს ზოგიერთი ნაკლი, რაც ჩვენ მიერ შესწორებულ იქნა. რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსში სულ 227 მუხლია, ჩვენში დაახლოვებით იმდენივეა. ადვოკატურის შესახებ შეიძლია ვსთქვა, რომ მას საფუძვლად დაედო აგრეთვე რუსეთის დებულება, მაგრამ აქაც ზოგიერთი შესწორებებით.

რაც შეეხება პროკურატურის შესახებ დებულებას, კანონების ცხოვრებაში გატარებისათვის თვალყურის დევნების მიზნით და ბოროტმოქმედების საწინააღმდეგო ბრძოლის სასურველ ნიადაგზე დაყენებისათვის, პროკურატურას დაევალება ხელისუფლების ყველა ორგანოების მოქმედების კანონიერებისათვის სახელმწიფოს სახელით თვალყურის დევნება, უშუალო მეთვალყურეობა ყველა საგამომძიებლო და დაკითხვის ორგანოებისა, და საერთოდ სამეურნეო და კერძო ორგანოების კონტროლი. პროკურატურის სათავეში რესპუბლიკის პროკურორის სახით, სდგას იუსტიციის სახ. კომისარი. მას განკარგულებაში იქნება პროკურატურის განყოფილება, მისი თანაშემწეების შემადგენლობით, რომელსაც დაამტკიცებს და გაიწვევს სრულიად საქართველოს ცენტ. აღმასკომის პრეზიდიუმი, რესპუბლიკის პროკურორის წარდგენით. რესპუბლიკის პროკურორს უშუალოდ დაემორჩილება აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორი, რევტრიბუნალის პროკურორი და აჭარისტანის პროკურორი.

მათთან იქნება თანაშემწეების შტატი, რომელსაც დანიშნავს და გადააყენებს რესპუბლიკის პროკურორი.

ადგილებზე პროკურორების მოვალეობას შეადგენს ადგილობრივ დაწესებულებათა და კერძო წარმოებების მოქმედების კანონიერებისათვის თვალყურის დევნება.

ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის სფეროში პროკურატურას დაევალება სამსახურის პირების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა გამოძიება, როგორც თავისი ინიციატივით, ისე საჩივარის მიხედვით.

მასვე დაევალება საკითხების გადაწყვეტა სასამართლოზე გადაცემის შესახებ, საქმის მოსპობის შესახებ, და საერთოდ ყველაფერი, რაც შეეხება მართლმსაჯულებს. პროკურატურას ამას გარდა ექნება საშუალება მონაწილეობა მიიღოს სასამართლოს ყველა განმაწესრიგებელ სხდომებზე, თუ რასაკვირველია, ამას ის საჭიროდ დაინახავს ყოველგვარ თავის დადგენილებას პროკურორი ანხორციელებს პირადათ ან თავის თანაშემწეების საშუალებით.

ყოველ სამი თვის განმავლობაში პროკურორი წარუდგენს თავის მოღვაწეობის შესახებ ანგარიშს რესპუბლიკის პროკურორს.

ადვოკატურის, პროკურატურის და სისხლის სამართლის კოდექსის შესახებ ყველა დებულების დამტკიცების შემდეგ, ის ვალდებულება, რომელიც აქამდე იუსტიციის განყოფილებებს ქონდა დაკისრებული გადავა პროკურატურის უშუალო განმგებლობაში.

ხელოვნება

— **სახელმწიფო ოპერა.** ოპერის მსახიობები უკვე გროვდებიან თბილისში. ჩამოვიდა ცნობილი მეცო სოპრანო მომღერალი ქალი მუხტაროვი. სეზონის გახსნა განზრახულია ოქტომბრის შუა რიცხვებში „აბესალომ და ეთერით“. პიესას ხელმძღვანელობს ალ. წუწუნავა.

— **ქუთაისის თეატრი.** ქუთაისიდან ჩამოვიდა სახ. განათლების რწმუნებული ბ. ბახტაძე, რომელსაც მოლაპარაკება აქვს მსახიობებთან მიმდინარე სეზონის საწარმოებლად ქუთაისში.

— **მსახიობ მ. ქიაურელის საზღვარ გარეთ გაგზავნა.** მთავრობის სუფსიდიით მსახიობი მ. ქიაურელი იგზავნება ბერლინში სასწავლებლათ.

— **ავადმყოფი მსახიობი.** მსახიობი ნ. ციციშვილი ამჟამად ძლიერ ავათაა და განიცდის დიდ მატერიალურ გაჭირვებას.

— **ქართველ მსახიობთა კავშირის რწმუნებული ქიათურაში.** ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭომ თავის რწმუნებულათ ქიათურაში დანიშნა ვ. ბარველი.

— **ი. ფალიევის ჩამოსვლა.** 14 სექტემბერს მოსკოვიდან ჩამოვიდა სახელმწიფო ოპერის მსახიობთა ტრუპის ხელმძღვანელი ი. ფალიევი.

— **სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილება.** ვინაიდან საქართველოს ქალაქები და თვით თბილისიც გადატვირთულია მსახიობებით, უმეტესათ—კი უმუშევრებით, რომელთაც შეაქვთ სახ. განათ. კომის. სათეატრო გეგმაში დეზორგანიზაცია, ამიტომ ყველა ანტრეპრენიორებს, იმპრესარიებს და სხვა მეწარმოებლებს სასტიკათ ეკრძალებათ მოწვევა უცხოეთიდან საქართველოში მსახიობების მთავარ სახელოვნო კომიტეტის ნებადაურთველათ. ყველა—ვინც ჩამოვა ასეთ უნებართვოთ, არ იქნებიან ხელოვნების მომუშავეთა კავშირის რეგისტრაციაში გატარებული და დაშვებული სამუშაოზე, ხოლო იმპრესარიები კანონიერ პასუხისგებაში მიიცემიან.

— **მთავარ სახელოვნო კომიტეტში.** მთავარ სახელოვნო კომიტეტის წინადადებით, მოსკოვიდან ჩამოსული რეჟისორი მარჯანიშვილი დათანხმდა ქართულ სტუდიის მუშაობაში მონაწილეობის მიღებას. მარჯანიშვილმა წინადადება შემოიტანა, რომ თავის მუშაობას ის დაუკავშირებს საკუთარ თეატრის დაარსებას თბილისში, რა მიზნითაც: 1) ახალი სამხატვრო თეატრის დასი გადადის მარჯანიშვილის სრულ განკარგულებაში; 2) სამხატვრო საკითხებში მარჯანიშვილი იძლევა სრულ კარტ-ბლაშს; 3) მარჯანიშვილს შეუძლია ამ თეატრში დადგას პანტომიმიც და ოპერეტაც; 4) ახალ სამხატრო თეატრს დაერქვა „ახალი თეატრი“.

— **სახალხო განათლების კომისარიატის მომუშავეთა კოლექტიური ხელშეკრულება.** სახალხო განათლების კომისარის ამხ. კანდელაკის მიერ, თანახმად განათლების მომუშავეთა კავშირის დადგენილებისა, დამტკიცებულია განათლების კომისარიატის ცენტრალურ დაწესებულებების კოლექტიური ხელშეკრულება, რომლის უფლება ტარდება მომუშავეებზე პირველ აგვისტოდან.

— **თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოების ინსტიტუტი.** გაიხსნა ს. ს. ს. რ. სახალხო განათლების კომისარ. და ამიერ კავკასიის სამხ. საოლქო სამმართველოს „თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოების ინსტიტუტი“. ინსტიტუტს აქვს განყოფილებები: 1. სამხატვრო საქანდაკო—ასრულებს: ანატომ ურს და სხვა მოდელებს, ბარელიეფებს, საბავშო სათამაშოებს, სასწავლო ხელსაწყოებს—გიფსიდან, „პატო-მაშე“-დან და სხ; 2. ყოველგვარ ფერების წარმოება—ფერადი ცარცი, პარტელისა, გრიმებისა და სხვა მასალებისას, აგრეთვე გრაფიკული ხელოვნების დარგებისა; 3. ლითონის და ხის მექანიკური დამუშავება—ამზადებს და შეაკეთებს ფიზიკურ ხელსაწყოებს, აპარატებს და სხ. სასწავლო ხელსაწყოებს—ამუშავებს და იღებს ყველა დაწესებულებებიდან და აგრეთვე კერძო პირებისაგან. კატალოგი გაეგზავნებათ პირველ მოთხოვნილებისამებრ. მისამართი: თბილისი, ალექ ანდრეს ქუჩა, № 42.

— **სახალხო სახლი.** რუსული დრამის კოლექტივის მიერ წ. ა. ჩუდკევიჩის მონაწილეობით 17 სექტემბერს წარმოდგენილი იქნება „ზოლოტაია კლეტკა“ (ოქროს გალია).

— **არტურ ლეისტის საიუბილეო კომისიის სხდომა.** ორშაბათს 18 სექტემბერს, ხელოვანთა სასახლეში შედგება არტურ ლეისტის საიუბილეო კომისიის სხდომა, საღამოს 8 საათ.

ამხ. ლაზარეს საფლავზე

კვლავ რეკს გლოვის ზარს მეზარე,
სევდა ეწვია ჩვენს მხარეს,
მოგვიკვდა ჩვენი ლაზარე,
მის ცივ გვამს ვაფრქვევთ ცრემლს ცხარეს,

ჩვენს რიგებს ერთიც მოაკლდა,
ხელთ ეპყრა რწმენის ლამპარი,
ის ჩვენთან იყო, ჩვენ გვახლდა,
ჩვენი სინდისის საფარი,

მოგელის ცივი სამარე,
გმირთ გმირო ძმაო ლაზარე!
შენ მიხვალ, მაგრამ იწამე,
ვასრულებთ, რაც დაგვიბარე...

მშვიდობით! ჩვენ არ ავცდებით,
არ გადაუხვევთ შენს რწმენას.
და ვნახავთ მედგარ ბრძოლაში
თავისუფლების მზის ლხენას.

სანდრო ეული.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი აცხადებს

რომ ხვალ 17 სექტემბერს, დილის 11 საათზე მოხდება დაკრძალვა საკონტროლო კომისიის წევრის

ამხ. კანდელაკისა

გამოსვენება საკუთარი ბინიდან გრიბოედოვის ქ № 11. თავმოსაყრელი პუნქტი საქ კომპარტიის ტფილისის კომიტეტთან, დილის 10 საათზე. ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ტფილისის ორგანიზაციის ყველა წევრებს მიიღონ მონაწილეობა დაკრძალვაში.

ტფ. კომიტეტის მდივანი: **კახიანი.**

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული სპეციალურ კომისიის მიერ

იქნება გამორკვეული სტაჟი იმ არალეგალურათ მომუშავე ამხანაგებისა, რომლებიც ირიცხებოდენ რ. ს. დ. მ. პ. (ბოლ.) 1917 წლამდე, რის გამო ევალება ყველა ასეთ ამხანაგებს გატარდენ რეგისტრაციაში ც. კ სააღრიცხო ქვეგანყ. და წარმოადგინონ საბუთები მათი პარტიაში შესვლის დროის შესახებ.

რეგისტრაცია სწარმოებს 9—3 და 6—8 საათამდის ყოველ დღე.

(3—1) ც. კ. სააღრიცხვო სტატისტიკურ განყ. გამგე **ა. ლიცინოვი.**

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ფრაქციის ბიურო

აცნობებს ყველა კომუნისტებს და კანდიდატებს, რომლებიც შეერთებული არიან ზემოხსენებულ კავშირში, რომ 17 სექტემბერს, დილის 9 საათზე, კავშირში (მუშათა სასახლე მე 4 სართული მე 69 ოთახი) შესდგება ფრაქციის სხდომა ფრიად საგულისხმო საკითხების გამო.

ყველას დასწრება სავალდებულოა.

(3—3) ფრაქციის მდივანი: **ბორის ჩიხტიაკოვი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი

წინადადებას აძლევს ყველა პოლონელ—კომუნისტებს და იმ ამხანაგებს, ვინც პოლონური ენა იციან, ერთი კვირის განმავლობაში ჩაეწერონ საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილებაში

2—1 თფილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება

წინადადებას აძლევს თფილისის ორგანიზაციის ყველა წევრებს, ვისაც სურთ შევიდენ მუშათა ფაკულტეტებზი, წარმოადგინონ არა უგვიანეს 17 სექტემბრისა თხოვნა, თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ჩარიცხვის შესახებ.

თფილისის კომიტეტის საagitაციო საპროპაგანდო
განყოფილების გამგე **მ. ესხენი.**

საქართველოს კომპარტიის ქალაქის ორგანიზაციის საერთო კრება

15 სექტემბერს შესდგა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრების და კანდიდატების საერთო კრება. საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ კომინტერნის აღმასკომის წევრი ამხ. მ. ცხაკაია და რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წევრი, საბჭოთა რუსეთის ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. სოკოლნიკოვი.

ამხ. ცხაკაიას სიტყვა.

ესალმება რა კრებას კომინტერნის აღმასკომის სახელით, ამხ. ცხაკაია გამოსთქვამს სიხარულს იმის გამო, რომ მუშებისა და გლეხების თავგამოდებულ რევოლიუციონურ მოღვაწეობის შედეგათ საქართველო შევიდა საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახში.

შემდეგ შეეხო რა საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო მდგომარეობას, ამხ. ცხაკაიამ აღნიშნა მისი სიმტკიცე და რომ თანდათან იზრდება მისი მნიშვნელობა. მუშათა კლასის მორიგი ამოცანა—ბრძოლა ერთიან მუშურ ფრონტისათვის, უნდა გადაჭრილ იქნეს. ამას უკვე პრაქტიკულად ანხორციელებენ მუშები, რომლებიც თანდათანობით ჩამოსცილდნენ თავიანთ შემთანხმებელ წინამძღოლებს.

ამხ. ცხაკაიას სიტყვის შემდეგ—სიტყვა ეძლევა ამხ. სოკოლნიკოვს.

ამხ. სოკოლნიკოვის სიტყვა.

ამხანაგებო! ნება მომეცით მივესალმო თბილისელ ამხანაგებს რუსეთის კომპარტიის ცეკას და მოსკოველ ამხანაგების სახელით. თუმცა და ჩვენ მეორე სახელმწიფოში ვიმყოფებით და გეოგრაფიულად დაშორებული ვართ ერთი მეორეს, მაგრამ ჩვენ ხელიხელ ჩაკიდებულნი ვართ ჩვენ საერთო, დიად ბრძოლაში.

მე მინდა რამოდენიმე სიტყვებით შევჩერდე რამოდენიმე წლის შეფასებაზე. აქ თქვენ, რასაკვირველია, არ შეგეძლოთ ისე მწვავეთ გეგრძნოთ ყველა ის უბედურება და ტანჯვა, რაც წილად ხვდა წასულ წელს საბჭოთა რუსეთს. ამ ჟამად თუმცაღა ახალი მოსავალი ჩვენ წინაშე შლის ბრწყინვალე პერსპექტივებს, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის წელი, რომელიც ჩვენ განვლეთ, იყო ყველაზე უმძიმესი წელი. ჩვენ გაჭივრებას განვიცდიდით სხვა წლეებშიდაც. სამოქალაქო ომის სამი წლის განმავლობაში ჩვენ ვისწავლეთ ყოველ გვარი გასაჭირის ატანა. მაგრამ სიმშილმა ძლიერ მძიმე გავლენა მოახდინა ჩვენს სახელმწიფოზე.

როცა ჩვენ აღარ გვემუქრება საშინელი სიმშილი და სიმშილისაგან დაავადმყოფებული მცხოვრებთა მილიონები არ იხოცებიან ვოლგის მხრის უწყლო მინდვრებში,—ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებით ვსთქვათ: „ყველაფერი ეს განვლილია და შემდეგში აღარ დაბრუნდება“.

ჩვენი მტრები ფიქრობდნენ, რომ სიმშილი ამოგვწყვეტდა ჩვენ და ეს სიმშილის წელი ჩვენი არსებობის უკანასკნელი წელი იქნებოდა.

მაგრამ ჩვენ განვლეთ ეს წელიც, როგორც ყველა წასული წლები.

მაგრამ ეხლა ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თუ ჩვენ გადავიტანეთ სიმშილის საშიშროება,—ჩვენ ყველაფერი ვძლიეთ და ეხლა ჩვენ არაფრის არ გვეშინია.

ყველაზე უფრო საშიში, სახიფათო წელი დავტოვეთ.

ჩვენ წინაშე ეხლა იშლება შესაძლებლობა ეკონომიური აღორძინებისა. ჩვენ უფრო თავისუფლად შეგვიძლია ამოვისუნთქოთ და პურის მოთხოვნილების ზრუნვიდან გადავიდეთ ჩვენი უფრო მაღალი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე.

ამხანაგებო! თქვენ რასაკვირველია იცით, რომ წასული წლის განმავლობაში ჩვენ დახმარებისათვის მივმართავდით დასავლეთს.

ჩვენ თანახმა ვიყავით ამა თუ იმ დათმობაზე წავსულიყავით, რათა თავიდან აგვეშორებია მილიონ მცხოვრებლების სიმშილით სიკვდილი. მაგრამ ამით არაფერი გამოვიდა. უცხოეთის კაპიტალს არ აღმოაჩნდა საშუალება აღმოეჩინა ჩვენთვის რაიმე დახმარება.

კაპიტალისტებს ეგონათ, რომ ამაზე უფრო ხელსაყრელი მომენტი არ იქნებოდა.

ბოლშევიკები, თვით ის ბოლშევიკები, რომლებიც წინად უმნიშვნელო დათმობაზედ არ მიდიოდნენ, ეხლა თანახმა არიან დათმობაზე, რათა მიიღონ უცხოეთის სესხი. როცა ჩვენ ჰააგაში ვისხედით, ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვდით, რათა ბოლოს და ბოლოს ეთქვათ ჩვენთვის, გვაძლევენ თუ არა 3 ნახ. მილიარდ სესხს.

და რა გვიპასუხეს? საფრანგეთის წარმომადგენელმა გულახდილად აღიარა, მათ ერთი კაპეიკიც არ აქვთ—შეთანხმება არ მოხდა. მაშინ ჩვენ ვუპასუხეთ, რომ შეგვიძლია კრედიტების გარეშეც ვიარსებოთ.

თვით ის დათმობანი, რომლებზედაც ჩვენ დავთანხმდით გენუასა და ჰააგაში— ეხლა უარვყავით. ამხანაგებო! თქვენ ალბათ იცით, რომ გარეშე საქმეთა მინისტრმა ბრიტანეთის ნოტის საპასუხოდ აღიარა, რომ რადგანაც ჩვენი პირობები არ იქნა მიღებული ჰააგაში, ჩვენ მას გაუქმებულად ვაცხადებთ. ამ რიგად თვით ის დათმობანიც, რომლებზედაც ჩვენ თანახმა ვიყავით სიმშილის გავლენით, ეხლა ჩვენ უკან დავიბრუნეთ.

მახლობელი წელი ჩვენი განმტკიცების წელი იქნება. ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ ჩვენ ახალი ეკონომიური პოლიტიკით უზრუნველვყოფთ მთელ რიგ გამარჯვებებს. ახალი მოსავალი მოგვცემს საკმაო რაოდენობის პურს ქალაქებისათვის. ეს კიდევ ცოტაა, ცენტრალურ რუსეთს შეუძლია მიაწოდოს საკმაო რაოდენობის პური განაპირა მხარეებს, ნაკლებ მოსავლიან რესპუბლიკებს, კერძოდ საქართველოს, რათა აქაც არ დაიმშნენ მუშები.

ამხანაგებო, გაკვრით მე მსურს შევეხო ჩვენი „სოციალისტების“ სამარცხვინო მოღვაწეობას. მოვიყვან ერთ ფაქტს, რომელსაც იქნებ თქვენ არ იცნობთ.

იმ დროს, როდესაც ჩვენ ჰააგაში ვეწეოდით მოლაპარაკებას და მთელი ძალებით ვიცავდით მუშათა კლასის ინტერესებს—ამ დროს რუსეთის ემიგრაციის წარმომადგენლებმა პარიზში წარუდგინეს გარეშე საქმეთა მინისტრს სადეკლარაციო ბარათი. ამ შესანიშნავ დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა რუსეთს დარჩენია 2-3 კვირის არსებობა, და ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისთვის კრედიტების მიცემა. უკეთესია, ამბობდეს ისინი, არ მიეცეს კრედიტები, ვინაიდან საბჭოთა რუსეთი ადრე დაიღუპებაო.

მაგრამ ჩვენ არ დავღუპულვართ უკრედიტოთ და ჩვენი მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება. ხოლო ევროპაში ამ დროს სწარმოებს ომი, როგორც იარაღით ისე პოლიტიკური წესით.

ყველასათვის გასაგებია, რომ საფრანგეთი ომს აწარმოებს ინგლისის წინააღმდეგ ოსმალეთ-საბერძნეთის ფრონტზე.

ეკონომიური ბრძოლა ჯერ არ ყოფილი სიძლიერით ვითარდება ცენტრალურ ევროპაში. ამ ომის ასპარეზს წარმოადგენს გერმანია, რომელიც დაამარცხეს ბრძოლის ველზე. მაგრამ ეს არ აკმაყოფილებს საფრანგეთს. ის მოწადინებულია საბოლოოდ გაანადგუროს გერმანია, დაანგრიოს მისი ფაბრიკები, ქარხნები, რათა მათ ბურჟუებს ჩამოაშოროს გერმანიის კაპიტალისტების მეტოქეობა.

გერმანიის ადგილზე უნდა დარჩეს ნაგრევები. ასე სურს საფრანგეთს. ძველი ევროპა აღარ არის და არც შეიძლება იყოს.

ომიდან დაბრუნებულმა მუშამ ვერ ჰპოვა თავის სამშობლოში ის ზავი და სიმშვიდე, რასაც მოელოდა. ნაცვლად ამისა მან ჰპოვა სიმშილი, უმუშევრობა, სიცივე. ის ვერ ხედავს ვერავითარ გაუმჯობესებას. პირიქით დღითი დღე მისი მდგომარეობა უარესდება.

ჩვენ ვძლიერდებით. ბურჟუაზიული ევროპა სუსტდება.

ეს ფაქტია, რომელსაც ვერავინ ვერ უარჰყოფს.

მუშები უფრო და უფრო რწმუნდებიან იმაში, რომ ერთად-ერთი მისი დამცველი არის კომუნისტური პარტია—ხოლო შექმნილ მდგომარეობიდან ერთად-ერთი გამოსავალი—სოციალური რევოლიუციაა.

განვაგრძნოთ ასეთი სიმტკიცით ჩვენი მეურნეობის აღდგენა. ამით ჩვენ გავაძლიერებთ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს და გავაფართოებთ მის ფარგლებს.

ამხ. ორჯონიკიძის სიტყვა

საინფორმაციო მოხსენებით წითელ არმიის შესახებ გამოვიდა ამხ. ორჯონიკიძე.

თუ ამ ჟამად, ამბობს ის, თქვენ, ამხანაგებო, საშუალება გქონდათ მოგესმინათ ამხ. ცხაკაიას და სოკოლნიკოვისათვის, ეს მხოლოდ წითელ არმიის გმირობისა და სიმტკიცის მეოხებით. შემდეგ ამხ. ორჯონიკიძე მოუწოდებს დამსწრეებს იზრუნონ წითელ არმიისადმი ისევე, როგორც დღემდე.

ამხ. ოკუჯავას სიტყვა

დასასრულს გამოდის ამხ. ოკუჯავა, რომელიც აწვდის მოკლეთ დამსწრეებს ცნობებს ბანდიტიზმისა და მათ წინააღმდეგ მიღებულ ზომების შესახებ.

დასასრულს ერთხმად მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია.

რეზოლიუცია

მოისმინა რა კომინტერნის აღმასკომის წევრის ამხ. ცხაკაიას და რუსეთის კომპარტიის ცეკას წევრის ამხ. სოკოლნიკოვის და ორჯონიკიძის მოხსენებები, საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის წევრების და კანდიდატების საერთო კრება, სამხედრო ორგანიზაციის კომუნისტებთან ერთად უძღვნის მხურვალე სალამს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს და რუსეთის კომპარტიის ცენტ. კომიტეტს. ითვალისწინებს რა მსოფლის ბურჟუაზიულ მეურნეობის დანგრევას, ბურჟუაზიის უღონობას მეურნეობის აღდგენისათვის ძირითად საკითხების გადაჭრაში, შინაგან წი-

26 კომუნარის ხსოვნას

ა სექტემბერს სრულდება 4 წელიწადი, დღიდან ინგლისის და ადგილობრივ თეთრგვარდიელების მიერ

ს 26 კომისარის ამხ. ს. შაუმიანის, ა. ჯაფა- იძის და სხვათა ვერაგულად დახვრეტისა.

ია დაბეჯითებით სთხოვს ყველა ამხანაგებს გამოგზავნონ რედაქციაში ები, მოგონებანი, ბიოგრაფიები დახვრეტილ კომუნარების ხსოვნის აღსანიშნავად.

ილების გამოგზავნის უკანასკნელი ვადა არის 18 სექტემბერი.

თს და სამშაბათს, 18 და 19 სექტემბერს ყველა რაიონებში გაიმართება კრებები

ბაქოს 26 კომისრების ხსოვნის აღსანიშნავად

მბერს „26 კომისარის" დახვრეტის დღეს რუსთველის თეატრში ება სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 საათზე „26 კომისარის" დაღუპვის ხსოვნის აღსანიშნავად.

ნაშვიდში ყველა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა.

თს, 18 სექტემბერს საღამოს 6 საათზე ყოფილ ვის სახელობის სახალხო სახლის შენობაში შესდგება

ლისის ქალაქის საბჭოს პლენუმის მორიგი სხდომა

დღის წესრიგი:

ხლო აღმოსავლეთის ამბები.

ალაქის აღმასკომის კომუნალური პოლიტიკა.

დებულია ყველა წევრთათვის თავის დროზე გამოცხადება.

321.

მდივანი **ხუნდაძე.**

მხ. ლაზარე კანდელაკი

ვს 15 სექტემბერს, სიცოც- სწყდა, ჩვენი პარტიის ერთი წევრი, ჩვენს კლასობრივ ნ ბრძოლაში მრავალჯერ ნა- რევოლიუციონერი, ამხ. ლა კანდელაკი. განუკურნებელმა ტუბერკულიოზმა და აქ შემ შეყრილმა სახადმა,—ტიფმა ენიმე დღეში სრულებით მო- ლათ და უდროვოთ მოუსპო ე; ფოლადის რწმენით აღ კომუნიზმისადმი ურყევი მონეს შეუწყდა რევოლიუ- გულის ცემა.

აზარეს იცნობს კარგად სა- ოს კომუნისტური პარტია, მას აზერბაიჯანი და ნაწილობრი- კოვ პეტერბურ. 1918 19 20 მას უხდებოდა ამ უკანასკ- ლებში დაუშურებელი რევო- ნური მუშაობის წარმოება. ლს, მენშევიკურ ბურჟუაზიულ ლოს საბჭოთა საქართველოთ ვის დღიდან იგი აქ მის ცენ- მილისში მოექცევა და მრა- და სხვა საპასუხის მგებლო— პარტიული ისე საბჭოთა- მწევა დაულალავ მუშაო- უანიზმით დაავადებულს, ფი- სუსტს მას არ აჩერებს არა ტიულ-რევოლიუციონურ ვა- ულების წინაშე. ამხ. ლაზა- ნ ვხედავთ ს. კ. პ. ცეკაში მართველად, მას ჩვენ ვხედავთ თბილისის კომიტეტის პასუ- ელ მდივნად, მას ჩვენ ვხედავთ სხვა და სხვა მაზრებში მავალს სარევიზიოთ რევკომის მიერ წარგზავნილს; ხოლო ამ უკანასკნელათ კი იგი წევრი იყო ერთი ჩვენი ფრიად მნიშვნელოვან მაღალ დაწესებულებების ს. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიისა, არჩეული ს. კ. პ. პირველ ყრილობისგან. აქ ამხ. ლაზარე ერთი უერთგულესი აქტიური მუშაკთაგანი იყო თავის ამხანაგებს შორის.

ამხ. ლაზარე 35 წლის იყო. იგი ჩვენი მებრძოლი პარტიის წევრი გახდა 1904—5 წლიდან და აქედან დაწყებული თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდის,—აგერ 17—18 წლის განმავლობაში, რომელიც საშინელ ტკივილებში იქნა მის მიერ განვლილი,— შერჩა ურყევი რწმენით და იმედით პარტიას, არც ერთხელ, პარტიის მძიმე წუთებში ამხ. ლაზარეს მისთვის არ გადაუხვევია, არ უღალატია.

ამხ. ლაზარე ცნობილია ამხანაგებში როგორც პირდაპირი, დაურიდებელი, პირუთვნელი, ზედ მიწევნით პატიოსანი ადამიანი, რომელიც ამ მხრივ თავის მტრებშიც კი სძრავდა სიმპატიას.

ჩვენი პარტიისთვის დიდი დანაკლისია ლაზარეს სიკვდილი.

განისვენე საყვარელო, ძვირფასო ამხანაგო. შენს თანამებრძოლ ამხანაგებში არას დროს არ ამოიფხვრება შენი ხსოვნა. **სევგახტი**

რადიო-დეპეშები

ოსმალეთ საბერძნეთის ომი

ნაუენი. 15 სექტემბერი. ლონდონის პრესა აღნიშნავს, რომ ამ ჟამად მდგომარეობა ევროპაში ისევე სერიოზულია, როგორიც იყო 1914 წელს. ზოგიერთი გაზეთები უკიდურესი პესიმიზმით ითვალისწინებენ ახალ ბალკანეთის ომს, თუ ინგლისის პოლიტიკა არ მიუდგება მდგომარეობას დიდი სიფრთხილით.

ბალკანეთზე

ნაუენი 15 სექტემბერი. „ცენტრალ ნიუზ"-ის ცნობებით, სამხრეთ-სლავია და რუმინია აღმოუჩენს დახმარებას საბერძნეთს, თუ ომი დაიწყება ფრაკიაში. სამხრეთ-სლავია აწარმოებს მზადებას, რათა თავის ძალებს თავი მოუყაროს სკოპლის (უსკიუბი) მახლობლად.

ბორდო. 15 სექტემბერი. ბოლგარეთის პრესბიურო უარჰყოფს ხმებს ბოლგარეთის ჯარების ფრაკიის საზღვრებთან კონცენტრაციის შესახებ და თითქოს შეტაკება მომხდარიყო ბოლგარეთის ჯარებისა და ბერძნების შორის ნევროკოპის მახლობლად.

რომი. 15 სექტემბერი. საბერძნეთის მთავრობამ მიიღო ზომები საზღვრების ბოლგარეთის ჩეუბიდან დასაცავად და მიმართა მოკავშირეების სახელმწიფოებს თხოვნით ჩაერიონ მათ საქმეებში.

რომი. 15 სექტემბერი. „ტანის" კორესპონდენტთან ინტერვიუში რუმინიის გარეშე საქმეთა მინისტრმა აღიარა, რომ მცირე ანტატა საწინააღმდეგებო წონასწორობის დარღვევას ახლო აღმოსავლეთში, თუმცაღა მოკავშირეებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ ახლო აღმოსავლეთში ახალი კონფლიქტის წარმოშობას.

ნაუენი. 15 სექტემბერი. ცნობები მცირე ანტანტის სახელმწიფოებში მობილიზაციის შესახებ თანდათან ვრცელდება. აშკარაა, რომ მცირე ანტანტის სახელმწიფოები ემზადებიან შექმნილ მდგომარეობის გამო.

ანტანტა და გერმანია

გერმანია და ბელგია.

ნაუენი. 15 სექტემბერი. ბელგიის ნოტას გერმანიისადმი ოქროს მარაგის შესახებ აქვს მეგობრული ხასიათი, და არ შეიცავს ულტიმატუმს, როგორც ეს იყო წინანდელ ნოტებში.

ნაუენი. 15 სექტემბერი. გაზ. „ლიბრ ბელჟის" ცნობით ბელგიის მთავრობა შეუთანხმდა გერმანიის მთავრობას ყველა მუხლების შესახებ, გარდა ოქროს მარაგის საკითხისა.

კანცლერ ვირტის განცხადება

ნაუენი. 15 სექტემბერი. კანცლერმა ვირტმა, მიმართა რა გერმანიის მრეწველთა და კომერსანტების ყრილობას, სთქვა, რომ ის დიდ იმედს ამყარებს გერმანიის ხალხის ნებისყოფაზე, იმ ხალხის, რომელსაც სურს შეუთანხმდეს სხვა სახელმწიფოებს. მაგრამ ეს უკანასკნელნი ძალიან ბევრს მოითხოვენ და მუდამ ულტიმატუმებით იმუქრებიან. დასკვნაში ვირტმა განაცხადა, რომ გერმანიამ ჯერ კიდევ ბევრი სიკეთე უნდა მოუტანოს არა მარტო თავის თავს, არამედ მთელ ევროპას. დღემდის პოლიტიკური მიზეზი უშლიდენ ხელს ხალხთა შორის სრულ თანხმობის დამყარებას. საკონტრიბუციო პრობლემა გადაწყვეტილი იქნება სწორ ანგარიშების საფუძველზე, და ეს ანგარიშები უნდა შეადგინონ არა იმათ, ვინც ცეცხლითა და მახვილით გაანადგურა ევროპა, არამედ იმათ, ვინც თავის მოვალეობად სთვლიდა მიეწოდებინა მსოფლიოსათვის პროდუქტები და სხვა დასის დახმარებანი ისეთი ატმოსფერის შექმნისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს ხალხთა ერთმანეთის გაგებას, გერმანია ყოველ ძალ ღონეს ხმარობს.

გერმანიის მრეწველთა ყრილობა.

ჰანოვერი. 15 სექტემბერი. გერმანიის მრეწველთა ყრილობაზე ყრილობის თავმჯდომარემ ფრანც მენდელსონმა გამოსთქვა მწუხარება, რომ წარსული კვირის მოლაპარაკება, მიუხედავად სახელმწიფო ბანკის ენერგიული დახმარებისა, უშედეგოთ დამთავრდა. მენდელსონმა გამოსთქვა იმედი, რომ მომავალ მოლაპარაკების დროს გამონახული იქნება შეთანხმებელი გადაწყვეტილება, გამოვიდა რა ყრილობაზე ვრცელი მოხსენებით, კანცლერმა ვირტმა სხვათა შორის სთქვა, რომ ერთი სახელმწიფოს მიერ მსოფლიო ომის ყველა ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა არის სრული უგონობა. სანამ ეს აშკარა არ გახდება ყველასათვის,—ის ხალხი რომელიც კონტრიბუციას იხდის დაიღუპება და ევროპისაგან მხოლოდ ნანგრევები დაგვრჩება. ომში მონაწილე ყველა სახელმწიფოები უნდა გაერთიანებულიყვნენ მოლაპარაკების საწარმოებლად, აეწონ-დაეწონათ თვითეული მუხლი და დებულებანი და ისე შეედგინათ ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფდა მშვიდობიანობას მსოფლიოში. დღეს მსოფლიოში არ არის მშვიდობიანობა, იმიტომ რომ ევროპის თანამედროვე პოლიტიკა არის ვივისექციის და ექსპერიმენტების პოლიტიკა. თუ სურთ მიზანს მიაღწიონ, საკონტრიბუციო საკითხი უნდა აშენდეს მტკიცე საძირკვლებზე და გერმანიის უარმა ამა თუ იმ შეუძლებელ მოთხოვნილებათა შესრულებაზე, არ უნდა გამოიწვიოს დაბალჩენ ევროპაში პოლიტიკური კრიზისები.

სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარის გამგზავრება

ჰანოვერი. 15 სექტემბერი. პრესის ცნობით სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარე გოგონშტეინი ფიქრობს ლონდონში გამგზავრებას, ინგლისის ბანკთან მოსალაპარაკებლად და სთხოვოს შუამავლობა ბელგიისათვის განძეულობათა გადაცემის დროს.

პარიზი ლმობიერებას იჩენს.

ნაუენი. 15 სექტემბერი, გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ პარიზი იჩენს ლმობიერებას, ლონდონში საფრანგეთის ვალიუტის დახურდავების მნიშვნელოვნად დაცემის გამო. იმის შემდეგ რაც გამოაშკარავდა გერმანია-ბელგიის მოლაპარაკების უშედეგობა და აგრეთვე იმის გამო, რომ ახლო აღმოსავლეთის საკითხში ინგლის-საფრანგეთის შორის დაიბადა გაუგებრობა.

დირექტივები საფრანგეთის დელეგაციას.

ბორდო. 15 სექტ. პუანკარემ გააცნო საფრანგეთის მინისტრთა საბჭო რამბულიის სხდომაზე იმ დირექტივებ', რომელნიც მისცა მან საფრანგეთის დელეგაციას საკონტრიბუციო კომისიაში გერმანია და ბელგიის შორის მოლაპარაკების უშედეგოდ დამთავრების გამო.

კაბინეტის მერყევი მდგომარეობა.

ბორდო 15 სექტ. ბერლინიდან იუწყებიან, რომ უკანასკნელ ამბების გამო კაბინეტის მდგომარეობა შერყეულია. მის წინააღმდეგ ენერგიულ კამპანიას აწარმოებენ სახალხო პარტია და სტინნესის მომხრენი. ოპოზიციის ასეთი „მანიორების" გამო ვირტმა უარი განაცხადა საზაფხულო დასვენებაზე.

კონტრიბუციის „პრესის" ქვეშ.

ჰანოვერი. 15 სექტ. გაზეთების ცნობით, ქალაქ ჰანოვერის თვითმართველობამ დაადგინა ლიკვიდაცია უქნას ზოოლოგიურ ბაღს, ვინაიდან მისი შენახვა ქალაქს, მატერიალურ საშუალებათა უქონლობის გამო, არ ძალუძს.

განზრახულია აგრეთვე ბერლინის ზოოლოგიურ ბაღის დახურვა. მხეცები გაიყიდება და დატოვებული იქნება მხოლოდ აკვარიუმები.

ჰანოვერი. 15 სექტ. სათბობ მასალის ხარჯების შესამცირებლად, ბერლინის ქალაქ. თვითმართველობამ დაადგინა შეჩერებულ იქნას ექვსი თვით მიწის ქვეშ და ზედა პირზე შენობების აგება.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ქუთაისის მაზრა.

მოსავლის შედეგი.

აგვისტოს განმავლობაში სასოფლო მეურნეობის ყოველ გვარი ნათესი მაზრაში დაზიანდა. ამის მიზეზი იყო განუწყვეტელი წვიმები, რომელიც ყოველ დღიურად მიდიოდა მთელი აგვისტოს განმავლობაში. წვიმების გამო სიმინდის დამწიფება შეფერხდა, რაც საფრთხეში აგდებს მიმდინარე წლის მოსავალს. საერთოდ სიმინდი, რომელსაც კარგი პირი უჩანდა, პირველი სექტემბრიდან შეიძლება ჩაითვალს საშუალოზე უკეთესად. გამონაკლისს შეადგენს ზეკარის და გორდის თემი, სადაც სიმინდის მოსავალი საშუალოზე დაბალია. ზეკარში სიმინდი დაზიანდა მინდვრის თაგვებიდან, გორდიში წვიმისა და ღრუბლიანი ამინდისაგან.

ყურძენი მაზრის ყველა ადგილებში ცუდ მდგომარეობაშია, მოსავალი უნდა იქნეს ძლიერ ნაკლები, რაც მეტად აწუხებს სვირის და ბაღდადის რაიონებს, რომელთათვის მევენახეობა და მეღვინეობა არის მთავარი საარსებო წყარო.

ხილეულს და ბოსტნეულს საუკეთესო პირი უჩანს. იშვიათად თუ ყოფილა მაზრაში საზამთროს, ნესვის და სხვა ხილეულის ისეთი მოსავალი, როგორიცაა წელს. საუბედუროდ ტრანსპორტის მდგომარეობა ნებას არ აძლევს მწარმოებლებს მოსავალი ხელსაყრელ ფასებში გაანაღდონ. ბაღების და ბოსტნეულის მთელი მოსავალი ადგილებზევე დარჩა და იყიდება ძლიერ დაკლებულ ფასებში. მაგალითად: მსხალი საუკეთესო ხარისხის ფასობს 1 და 2 ათას მანეთს გირვ., ატამი 2—3 ათასი გირ., ლეღვი 2—3 ათასი გირ. ეს ფასია მეხილეების. გლეხებისაგან კი შეიძლება იყიდოთ ხილით სავსე კალათი 15—20 გირ. 8—10 ათ. მან., ლეღვი კალათი 6—10 გ. იყიდება 4—6 ათ. მანეთად. საუკეთესო საზამთრო 8—10 გირ. იყიდება 6—8 ათას მანეთად და სხვა. სხვათა შორის მიმდინარე წელს იყო ალუბლის საუკეთესო მოსავალი, რაც გამონაკლისს შეადგენს ქუთაისის მაზრისათვის.

საერთოდ მიმდინარე წელს, თუ სიმინდი მომავალში არ დაზიანდა ქუთაისის მაზრა იქნება საკმაოდ კარგ პირობებში საკუთარი წარმოების პროდუქტებით უზრუნველყოფის მხრივ.

ზუგდიდის მაზრა.

შრომის საკითხი.

პირველ აგვისტოსათვის აღრიცხულ იყო 23 უმუშევარი, აგვისტოში რეგისტრაციაში გატარებულია კიდევ 22 კაცი.

—ამ რიცხვიდან გაგზავნილია სამუშაოზე 16 უმუშევარი: 9 მამაკაცი და 7 დედაკაცი.

პირველ სექტემბრისათვის დარჩენილია—29 უმუშევარი: 17 მამა კაცი და 12 დედაკაცი.

—აგვისტოს განმავლობაში მოხდა 2 კონფლიქტი, მათში ერთი გარჩეულია მუშის სასარგებლოდ—მეორე შეჩერებულია.

—მთელი თვის განმავლობაში შრომის დაცვის კანონების დარღვევას არ ქონია ადგილი.

—შრომის განყოფილებამ შრომის და ტვირთ ზიდვის ბეგრის წესით ეკონომიურ განყოფილებას გადასცა გზის შესაკეთებლად 270 მუშა და 94 ურემი, სამხედრო კომისარიატს ექვსი ურემი სამი დღით, და დამშეულთა კომიტეტს 27 ურემი სამი დღით.

ახალქალაქის მაზრა.

სეტყვა. თემის აღმასკომების თავმჯდომარეთა უკანასკნელ ყრილობაზე ადგილებიდან ინფორმაციით გამოირკვა, რომ პირველი ცნობები სეტყვის შესახებ გადამეტებული გამოდგა. ზარალის რაოდენობა 50 პროც. ნაცვლად არის 25 პროც. ყველაზე უფრო მეტად დაზიანებულია სოფ. გორელოვო, რომლის ხვედრი სასურსათო გადასახადი ამის გამო ნახევრად შემცირებულ იქნა.

ახალციხის მაზრა.

ნიაღვარი. 8 სექტემბერს მთელ მაზრაში მოვიდა დიდი ნიაღვარი. წყლები კობლიან ჩაი, აბასთუმანკა და ფუცხოვ ჩაი ნაპირებიდან გადმოვიდა და დაფარა დიდი არე. ნიაღვარმა დიდი ზიანი მიაყენა სიმინდის ნათესს, რომელიც წყლის ნაპირებზეა. ზოგიერთ ადგილებში მოსავალი სრულიად დაიღუპა. ნიაღვარმა დიდი ზიანი მიაყენა ტყის დამზადების საქმეს. სამხედრო უწყების მიერ დამზადებული 3 500 ქორთუხი სრულიად წაიღო გადიდებულმა წყალმა, წაღებულია აგრეთვე სამაზრო აღმასკომის მიერ დამზადებული შეშა 400 კუბის რაოდენობისა.

მიღებულია ზომები წაღებულ ქორთუხების გადასარჩენად.

ლისის აღმასკომის კომუნალური პოლიტიკა

(დასასრული იხ. „კომუნისტი" 212)

ა ცხოვრების პრობლემაში მო- მედ ითვლება მოწესრიგება ქირის წარმოებისა, ბინის, ბის და სანიტარული საკით მატერიალური მდგომარეობა , მარტის ჯამაგირთან შედა- 70 პროცენტით გაუმჯობესდა. ენის, საელექტრონო სადგუ თველობის, საამშენებლო სა ტეხნიკურ სექციის, ცეც რობელ რაზმის და სხვა წარ- უშების რეალური სამუშაო ეთ 64 პროცენტით. სამარ- სასურსათო მდგომარეობის უმჯობესდა მუშების ცხოვრე- ობებიც. მოგვყავს ზოგიერთი აქონლის შემოზიდვის შესა- ველ 4 თვეს საზღვარ-გარე- ბილისში შემოტანილ იქნა: ს—557.000 ფუთი, ხოლო —1,217.000. აქედან სურ- ადგენს 70 პროენტს, პუ- 25 ათასიდან 8—9 ათასამ- , მოშავო პურზე—5 ათასამ- მად თბილისში ისეთი დიდი სურსათისა, რომ ბაზართან თ სურსათის დასამზადებე- ბიც კი დიდია. მაგალითად, ი დასამზადებელი ფასები

ზე	8 ათასი.
ნჯზე . .	20 „
ბიოზე . . .	7 „
ილზე . . .	1 „

ლად კი ამ სურსათის შეძენა ლ ბაზრაზე უფრო იაფად . პური, მაგალითად, რომე- დება, 6 ათასზე ძვირი არ- ლო ბრინჯი 15 ათასზე. ეს მევრად აუმჯობესებს საქმის ს და ტარიფიკაციას და მუშე- რაგებას ფულითა და სურ- მთლად უცვლის ხასი- ლა ეს და აგრეთვე ის , რომელ წელს კარგი მო- როგორც საქართველოში, ში, ნებას გვაძლევს ვიფიქ- მ სასურსათო გაჭირვებას ანაში ადგილი არ ექნება. უშებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სამუშაო ქირის გასტუმრების საქმეში საფინანსო წესზე გადასვლას. სურსათის ფასების ძალზე დაცემა სცვლის ფულის ანგარიშს და მუშების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს, რადგან მათი ქირაც თვიდან თვემდე იცვლება. საჭიროა ამიტომ მუშების მომარაგების საქმეში თან და თან გადასვლა სურსათიდან ფულზე, ამასთან სამუშაო ქირის ანგარიში ოქროს მანეთებით უნდა იქნას გაწეული.

შემდეგი მორიგი საკითხი, რომელიც ამ ჟამად მუშებს აინტერესებთ, არის საკითხი კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესახებ. სდგას რა კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების თვალსაზრისზე, აღმასკომს უსაჭიროესად მიაჩნია ცხოვრებაში გატარება კატეგორიების ერთიანი სატარიფო ცხრილისა, ამასთან აღმასკომი ეცდება მიიღოს საშუალო განაკვეთები და შემდეგშიაც განაგრძოს დაწყებული გაუმჯობესება მუშების ყოფა ცხოვრებისა არა მარტო ზოგიერთ წარმოებაში, არამედ საზოგადოდ ყველა მუშა მოსამსახურისა ყველა წარმოებასა და დაწესებულებაში, თანაც ყველასთან ერთად. ამასთან აღმასკომი, რა თქმა უნდა, ანგარიშს გაუწევს კომუნალურ მეურნეობის ინტერესებსაც.

სახალხო განათლება.

ქალაქის აღმასკომის ერთ-ერთ საყურადღებო განყოფილებას შეადგენს სახალხო განათლების განყოფილება. 1921 და 22 სასწავლო წელს სასკოლო საქმის წესიერ მსვლელობას და მის ინტენსიობას ხელ უშლიდა მძიმე მატერიალური მდგომარეობა სკოლის მუშაკებისა. აღმასკომი აღნიშნავს, რომ არსებული ჯამაგირი სასკოლო მოღვაწეებისა—საშუალოს, მილიონი მანეთი თვეში—სურსათის ფასების დაცემის შემდეგაც არ შეადგენს საცხოვრებელ მინიმუმს, ამიტომ აღმასკომის ერთ უმთავრესს ამოცანას შეადგენს სასკოლო მუშაკების სამუშაო ქირის დაახლოვება საცხოვრებელ მინიმუმთან. პირველმა აღმასკომმა ვერ მოახერხა თავის დროზე მიეცა სკოლის მომუშავეებისთვის კუთვნილი ჯამაგირი და ეხლა აღმასკომის მახლობელ ამოცანას შეადგენს ამ ჯამაგირის დარიგება. 1922 და 1923 სასწავლო წელიწადი უფრო ნორმალური იქნება. შედარებითი ცხრილი გვიჩვენებს ჩვენს მოსაზრებათა სინამდვილეს. ამა წლის პირველი სამ და მეორე სამ თვეში სახალხო განათლების განყოფილებამ მიიღო (მილიარდ მანეთებად):

იანვ	0,2 მილ. მ.	აპრ.	1,6 მილ. მ.
თებ.	1,4 „ „	მაის.	3,0 „ „
მარტ.	1,7 „ „	ივნ.	2,8 „ „
სულ	3,3		7,4

თუ ჩავაგდებთ, რომ საშუალოდ სახალხო განათლებას თვეში უნდა მიეღო 2 მილიარდი მანეთი, მაშინ 7 თვეში მას ეკუთვნოდა 14 მილიარდი მანეთი, ხოლო აქედან ფაქტიურად უკვე მიუღია 10,7 მილიარდი მანეთი.

როგორც საზოგადო მოსაზრება, აღმასკომს საჭიროდ მიაჩნია, ჰქონდეს რიცხვით ნაკლები, მაგრამ ყოველ მხრივ მოწყობილი სკოლები, ვიდრე მრავალი და მოუწყობელი. ამ აზრით აღმასკომი მიზანშეწონილად სთვლის უფრო სპეციალური ხასიათის სკოლები, როგორც, მაგალითად, სარკინისგზო სკოლებია, გადასცეს რკინის გზის უწყებას, რომლის ხელშიაც მუდამ იყო ეს სკოლები. მათი რიცხვი 19-ია, სკოლის საქმეების უკეთესად მოწყობისთვის, აღმასკომი აწესებს სასკოლო გადასახადს.

სახალხო ექიმობის დარგში, ისევე, როგორც სახალხო განათლებაში, აღმასკომი არა ფიქრობს არსებულ საზოგადო სისტემის შეცვლას. უფასო პირველ დაწყებითი სწავლა და საექიმო დახმარება არის ძირითადი პრინციპი საბჭოთა პოლიტიკისა, რომელსაც აღმასკომი სავსებით განახორციელებს. სახალხო ექიმობის დარგში აღმასკომი დიდ საქმეს აკეთებს: იძენს სამკურნალო ინვენტარს და მედიკამენტს, რისთვისაც ქალაქის აღმასკომმა რამდენიმე მილიარდის კრედიტი გადასდო.

ორკეცი ყურადღების მიქცევა სჭირდება აღმასკომს ქალაქის მილიციისათვის, რომელიც მატერიალურად მძიმე პირობებშია ჩაყენებული. მილიციის მომუშავეებს ჯამაგირი არ მიუღიათ მაისიდან და ივნისიდან. საბჭოთა სასტიკ დისციპლინის დროს საზოგადო წესრიგის დაცვა ქალაქში მოითხოვს მილიციის მომუშავეთა სრულ დაკმაყოფილებას, რათა მილიციის საპასუხისმგებლო მუშაობამ ნორმალური და სათანადო ხასიათი მიიღოს. აღმასკომმა სულ მოკლე დროში უნდა მოაწესრიგოს საკითხი მილიციის შესახებ და მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მეურნეობა ქალაქში შესაფერ ჩარჩოებში ჩააყენოს.

ქალაქის ცხოვრების საზოგადო გაუმჯობესების საქმიდან აღმასკომს შეუძლიან აღნიშნოს მხოლოდ შემდეგი: ძველად ქალაქის საამშენებლო პოლიტიკა ემსახურებოდა მხოლოდ ცენტრის, მსხვილი სპეკულიაციის ამ ციხე-სიმაგრის, ინტერესებს. ცენტრის გულისთვის კატასტროფიულ მდგომარეობამდე მიიყვანეს ქალაქის განაპირა უბნები, რის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს საბურთალოს მცხოვრებთა სასიკვდილოდ განწირვა და დიდუბის დაჭაობება. საბჭოთა საამშენებლო პოლიტიკა თავიდანვე სწორე ხაზს დაადგა: იგი უმთავრეს ყურადღებას აქცევდა განაპირა უბნებს, სადაც უმთავრესად მოთავსებულია მუშათა მასსა. გააჯანსაღა რა საბურთალო და დიდუბე, აღმასკომმა გადასწყვიტა, შეაერთოს ცენტრთან სადგური ნავთლუღი და სასაკლაო და ამ აზრით გაიყვანოს ამ ნაწილებში ტრამვაის შტო. ამ საქმეს ეხლანდელი აღმასკომი მოიყვანს სისრულეში.

არსებითი მნიშვნელობა აქვს აღმასკომის პრაქტიკულ განზრახვას—მოაწყოს ქალაქის ჯანსაღ ადგილებში მუშათა უბნები,—საყურადღებო საკითხი, რომელიც დაივიწყებას მისცა ტფილისის ყველა წინანდელმა ბატონ-პატრონმა. აღმასკომს თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია სული ჩაჰბეროს ამ მეტად დიდ საკითხს და მოჰფინოს ქალაქი ახალ ახალი უბნებით, აგებული „ქალაქი—ბაღის" პრინციპზე.

დასასრულ, აღმასკომს მეტად დროულად მიაჩნია ქალაქის მთელი მცხოვრებთა აღრიცხვა ერთ დღიური აღწერით. უკანასკნელი აღწერა (ისიც არაა სრული) მოხდა 1917 წელს. ამ აღწერამ მრავალი საკითხი უნდა გაარკვიოს: ეროვნული, სოციალური და სხვა, რასაც დიდი თეორეტიული, პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ეს საქმე, რომელიც ქალაქს რამდენიმე მილიარდი დაუჯდება, უსათუოდ განხორციელებულ იქნება ამა წლის შემოდგომის დამლევისთვის.

ასეთივე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქალაქის ცხოვრებაში შედგენას ქალაქის სრული ძირითადი ინვენტარიზმზე, რომელზედაც ძველი პატრონები ქალაქისა 50 წლის განმავლობაში მხოლოდ ლაპარაკობდნენ და გაკეთებით კი არ აკეთებდნენ. ამ საქმის დამთავრებას დასჭირდება რამდენიმე მილიარდის კრედიტი, მაგრამ ვიდრე ქალაქს ეს ძირითადი ინვენტარი არ ექნება, მანამდე აღმასკომი ვერ შესძლებს სავსებით მოგვარებას იმისას, რასაც იგი განაგებს და პატრონობს.

ამრიგად, აღმასკომის მოქმედება გაიყოფა ორ ნაწილად: 1. საზოგადო ნაწილი და 2. პრაქტიკული ნაწილი. საზოგადო ნაწილში აღმასკომის მუშაობა გამოიხატება შემდეგში:

1. ახალი ეკონომიური პოლიტიკა გამოყენებულ უნდა იქნას, როგორც საზოგადო ზომა, რომლითაც პროლეტარიატი განამტკიცებს თავის უპირატესობას ქვეყნის სამეურნეო და უფლებრივ სტრუქტურაში.

2. მუნიციპალური სოციალიზმი, საბჭოთა აღმშენებლობის საფუძველზე, წარმოადგენს ქვაკუთხედს ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის მუშაობის საერთო სისტემაში.

3. პრეზიდიუმმა, რომელმაც ხელთ უნდა ჩაიგდოს ქალაქის მთელი სამეურნეო ცხოვრება, საზღვარი უნდა დაუდოს ქალაქის მეურნეობის ორგანოების განტვირთვას და სამეურნეო განიარაღებას.

4. აღმასკომი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობის საკითხში ქალაქის სამეურნეო ორგანოების უფლებათა პრაქტიკულ ჩამოყალიბებას, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს დამოუკიდებელი წარმოება ქალაქის მეურნეობისა და ბიუჯეტისა და რისთვისაც საჭიროა ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებებთა საზოგადო კავშირი და მათთან შეთანხმებით მუშაობა.

5. განსაზღვრა ქალაქის უფლებებისა ისეთ დარგებში, როგორიც არის ვაჭრობა, და წარმოებითი მონოპოლიები და კონცესიები, გახსნა ქალაქის საკრედიტო დაწესებულებებისა, დამზღვევ საზოგადოებებისა, ლომბარდისა და სხვათა.

6. სისტემატიური გადასვლა ერთიან გადასახადის სისტემაზე, დამყარებულს მტკიცე კურსზე; წარმოებითი მუშაობებისთვის შემოღება მიზანშეწონილი გადასახადებისა.

2 პრაქტიკული ნაწილი.

1. უმთავრესი ყურადღება მიექცეს ჰიდრავლიურ მოწყობილებათა გამართვას, რომელიც მიაწვდის ქალაქს სათბობს როგორც ქალაქის წარმოებების, ისე კერძო სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

2 დაწყებულ იქნას წინასწარი მუშაობა თვით მდინარე წყალსადენის პროექტის ცხოვრებაში გასატარებლად; ამ წყალსადენმა უნდა მიაწოდოს მცხოვრებთ და წარმოებებს იაფი წყალი; შემდეგში განხორციელებულ უნდა იქნას ქალაქის ელექტროფიკაცია.

3. როგორც საზოგადო წესი, შემოღებულ იქნას მინიმალური ფასი ყოველგვარ კომუნალურ სიკეთეზე.

4. მუშათა საკითხის სფეროში გაყვანილ იქნას ცხოვრებაში კოლექტიური ხელშეკრულება; დაწესდეს მტკიცე განაკვეთები სამუშაო ქირაზე, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს გათანასწორება განაკვეთებისა ყველა წარმოებისა და დაწესებულებისათვის კოლექტიური ხელშეკრულების შემოღება ერთდროულად ქალაქის მეურნეობის ყველა ორგანოებში.

5. მიექცეს ორკეცი ყურადღება სახალხო განათლების მოსამსახურეთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას და სკოლების მოწყობას; ამისთვის, თუ საჭიროება მოითხოვს, შემცირებულ იქნას სკოლათა რიცხვი მთელი სასკოლო მეურნეობის გასაჯანსაღებლად.

6. სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად რაც შეიძლება საჩქაროდ შეძენილ იქნას სათანადო მედიკამენტები და ინვენტარი, უპირველესს ყოვლისა საავადმყოფოებისთვის.

7. გაფართოვდეს ბადე წარმოებით სამუშაოებისა როგორც მრეწველობის, ის სასოფლო მეურნეობის დარგში რაციონალური ეკონომიკის სამეცნიერო საფუძველზე.

8. ქალაქის სასაკლაოს ცხოვრების ასამოძრავებლად და ხორცის გასაიაფებლად, აგრეთვე ნავთლუღის მუშათა რაიონების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად შეუერთდეს ტრამვაის შტოთი ნავთლუღი ქალაქს.

9 დაუყოვნებლივ მოეწყოს სამეურნეო საფუძველზე სახლების მეურნეობა, რათა ზედმეტი ფული, შემოსული ამ მეურნეობიდან, სპეციალურად მოხმარდეს სახლების რემონტს.

10. შემოსავლის სწორე აღრიცხვისთვის და აგრეთვე იმისთვის, რომ მოიჯარადრენი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი იჯარა მკვიდრია, დაიდოს დარაბების, სახლების და სხვა ქონების მოიჯარადრეებთან, ყველასთან ცალკე, ხელშეკრულება; ხელშეკრულების დადების დროს ნებაყოფლობითი შეთანხმებით გარკვეულ იქნას იჯარის პირობები.

11 ეხლავე გადაწყდეს საკითხი მილიციის შესახებ მისი სამეურნეო და მატერიალურ საჭიროებათა დაკმაყოფილებით.

12. მოხდენილ იქნას თბილისის მცხოვრებთა აღწერა დემოგრაფიის საკითხის მეცნიერულად გამორკვევისთვის და პრაქტიკულ მუშაობაში ხელმძღვანელობისთვის.

13. შედგენილ იქნას სრული ძირითადი ინვენტარი ქ. თბილისის ქონებისა ამ ქონების სრული დაპატრონებისთვის და მათგან მაქსიმალური სარგებლობის გამოღებისთვის.

თბილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი.

მუშათა ცხოვრება

კვირეული

10 სექტემბერს პროფკავშირის მიერ მოწყობილ კვირეულში ზემო ავჭალაში ჰიდრო სადგურის არხის გასაჭრელათ გამოწვეული იქნა თბილისის ქარხნის თუ სახელმწიფო დაწესებულების ყველა მუშა მოსამსახურეები, პროფკავშირში დარაზმულნი. ამ გამოძახილმა მოლოდინს გადააჭარბა. დანიშნულ დღეს 10 სექტემბერს დილის ხუთ საათზე სადგური აივსო მუშა მოსამსახურეებით. გავიდა ერთი მატარებელი დროშებით და რევოლიუციონური სიმღერით. სადგური ხელმეორეთ აივსო, რამაც გამოიწვია მეორე მატარებლის გამოწვევა. გამოირკვა, რომ ხალხი კიდევ დარჩა სადგურში, რის გამოც უკანასკნელნი ფეხით წავიდნენ. აღსანიშნავია, რომ მუშაობდნენ დიდი ხალისით და ერთგულობით. აქ ყველა მუშა გრძნობდა, რომ აკეთებდა თავის საქმეს.

ა. თოდრია.

დალალები

ტფილისის რკინის გზის სადგურზე სხვა მრავალ უწესოებასთან ერთად ადგილი აქვს ერთ უწესოებას. ბილეთის ასაღებათ რიგში მდგარ მგზავრებთან ხშირად მიდის დალალები და ეუბნებიან თუ მომცემთ გასამრჯელოს რიგს გარეშე აგიღებთ ბილეთსო. ისინი ბილეთს მართლაც ღებულობენ, მაგრამ ამ „შრომისათვის“ თხოულობენ ასი ათას მანეთს და კიდევ მეტს. ჩვენ არ ვიცით რა სასწაულით ახდენენ ასეთ ოპერაციებს ეს დალალები. ვიცით რომ ისინი ხშირად ლაპარაკობენ და მასლაათობენ მილიციონერებთან. კარგი იქნება ამ დალალების მოღვაწეობას მეტი ყურადღება მიექცეოდეს და მგზავრებს მათ „უანგარო მზრუნველობისაგან“ გაანთავისუფლებდნენ.

შემთხვევითი.

უნდა აიკრძალოს

ამ ჟამად ტფილისის რკინის გზის სადგურში ადგილი აქვს ახალი სახის სპეკულიაციას. ბილეთის ასაღებ კასასთან ხშირად გხვდებიან უცნობი პირები და გთავაზობენ ბილეთს. მცირე ხნის განმავლობაში ასეთი ბილეთის წინადადება რამდენიმე პირმა მომცა. ერთ მათგანს გამოვართვი ბილეთი და გაუსინჯე აღმოჩნდა ბილეთი ერევნიდან ბათუმამდი. მივუტანე კასაში ბილეთი იმის შესამოწმებლად, რამდენათ ნამდვილი იყო. ბილეთი ნამდვილი აღმოჩნდა, მხოლოდ საქმე შემდეგში ყოფილა. არსებულა რაღაც ორგანიზაცია, რომელიც სპეკულიაციის მიზნით ყოველდღე სისტემატიურათ იძენს ერევნის სადგურზე ბათუმის ბილეთს, ყიდის მას ჯერ ტფილისამდი და შემდეგ ტფილისიდან ბათუმამდი. საბჭოური ბონის კურსის დაცემის გამო სპეკულიანტებს ბილეთი უჯდებათ ძალიან იაფათ. ამ მოვლენის წინააღმდეგ უეჭველად უნდა იქნას სათანადო ზომები მიღებული და აღკვეთილი ასეთი სპეკულიანტი ვაჭარ-ბატონები.

მგზავრი.

მიაქციეთ ყურადღება

თბილისის მაზრის მილიციელთა მდგომარეობა ყოვლად აუტანელია, იმ დროს, როდესაც ყველა მუშა-მოსამსახურეებს მოუმატეს ჯამაგირები, ჩვენ მივიღებთ ა/წ 1 იანვრიდან ერთსა და იმავე ჯამაგირს: თვეში 597,600 მანეთს, აქედანაც გვიქვითავენ ულუფის ფასს 297,500 მანეთს, ასე რომ ხელზე ფულს ვიღებთ 282.100 მანეთს. ამას გარდა ა/წ. აგვისტოს თვეში. გვერგება, მომატების მაგიერ კომპენსაცია—1.000,000 მანეთი. ამასაც ფულათ არ გვაძლევენ და თბილისის მაზრის სასურსათო კომიტეტიდან იძულებული ვართ მივიღოთ სურსათი, სადაც ხორბალის გარდა არაფერს არ გვაძლევენ, მერე ისიც როგორი! 1 ფუთს ხორბალს—250 000 მანეთად! იმ დროს, როდესაც ხორბალი ბაზარზე ღირს 170—180 000 მანეთი, ასე რომ ფუთზე გვზარალობთ 70,—80 000 მანეთს, რაც შეადგენს საერთოთ 210,—240.000 მანეთს.—ეს, ალბათ, „ნეპო“-თი თუ აიხსნება! საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს და ბოლო მოეღოს.

მათგანი.

ძირულა

როგორც მოგეხსენებათ, ძირულაში არსებობს ცეცხლის გამძლე აგურის და თიხის ქარხანა. ამ ქარხანა და ქანდარის მაღაროებში მუშაობს 200 კაცამდე. რასაკვირველია ამ ქარხანას აქვს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ქარხანა აკმაყოფილებს სომხეთის, აზერბეიჯანის, საქართველოს რესპუბლიკათა ამ მხრივ მოთხოვნილებას. დღიდან გადატრიალებისა შემოიპარა ქარხანაში ერთი ცალფეხა მენშევიკი ბატონი აბრესი ებანოიძე და მიმართა მრავალ ხრიკებს, მაგრამ ამაოთ. მუშები მის მოღვაწეობას მტრულათ შეხვდენ და დიდი ნდობით უყურებენ საბ. წესწყობილებას.

ცალფეხა მენშევიკი ხაშურში 13 აგვისტოს მიტინგზე აყენებდა საკითხს, რომ სასურსათო გადასახადი მოგვაგონებს ბატონყმობასო. რატომ არაფერს არ ფიქრობდა, როცა საწყალ ხალხს ყვლეფდა, განა ის არ ახსოვს გლეხებს, რა დღეს აყენებდა გადასახადის თაობაზე, როცა თემის თავმჯდომარე იყო. რატომ ის არ ახსოვს, რომ კერძო ინტერესებით სამოსახლო მიწას ართმევდა მეზობლებს, რატომ ის არ ახსოვს, რომ ორი ვაგონი ხე-ტყე მოიტანა ბორჯომიდან, რაც კარგი იყო სახლში გაგზავნა და ცუდი თემში დატოვა. მოიგონოს ყოველივე ეს და შემდეგ მიტინგებზე ილაპარაკოს.

ქარხნის მუშა.

[illegible], რომელიც ხრწნის კაპიტალიზმის სხეულს, ინგლისის იმპერიალიზმის დამარცხებას ახლო აღმოსავლეთში, კომპარტიის თბილისის ორგანიზაცია აღიარებს, რომ მხოლოდ ყველა საბჭოთა ფედერაციების მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური გაერთიანებით შესაძლებელი იქნება უკანასკნელი მახვილის ჩაცემა გახრწნილ კაპიტალისტურ მსოფლიოსათვის ევროპის პროლეტარიატი, რომელიც გმინავს კაპიტალიზმის უღელ ქვეშ საბჭოთა ფედერაციასთან და მის სადარაჯოზე მდგომ ძლევამოსილ წითელ არმიასთან ერთად ჩასცემს უკანასკნელ მახვილს მსოფლიო კაპიტალს.

გაუმარჯოს ყველა ქვეყნების პროლეტარიატის ინტერნაციონალურ სოლიდარობას

გაუმარჯოს ერთიან მუშურ ფრონტს.

გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთის და საბჭოთა საქართველოს მჭიდრო ეკონომიურ და პოლიტიკურ გაერთიანებას.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.

მომავალი თესვის კამპანია

(ცენტრ. თესვის კომ. გამგე ამხ. ევეცთან საუბრიდან)

პირველ იანვრამდე ცენტრალური თესვის კომიტეტი და მისი ორგანოები, წარმოადგენდნენ ავტონომიურ ორგანიზაციებს, რომელთა დანიშნულებას შეადგენდა ბრძოლა გაძლიერებული წესით მინდვრების დაუთესველობასთან.

პარალელურად არსებობდა აგრონომიული დახმარების ორგანიზაცია. საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს მათი კანცელარიები გაერთიანდნენ, პირველი ივნისიდან კი ცენტ. თესვის კომიტეტის და აგრონომიული დახმარების ტეხნიკური აპარატები საბოლოოდ გაერთიანებული იქნენ.

მომავალი თესვის კამპანიისათვის აგრონომიულ დახმარების ორგანიზაციასთან შექმნილია თესვის კომისიები, რომელშიაც შედიან ცენტრში წარმომადგენლები—შინაგან საქმეთა მუშათა და გლეხთა ინსპექციის და სასურსათო სახალხო კომისარიატების. თავმჯდომარეობს მიწადმოქმედების განყოფილების გამგე ამხ. **გ. ნ. ავალიშვილი**, მისი მუდმივი მოადგილედ ითვლება ამხ. **ევეცი.** მაზრებში თესვის კომისიებში შედიან აღმ. კომიტეტის და სამაზრო სასურსათო კომიტეტის წარმომადგენელნი, თავმჯდომარედ ითვლება მაზრის აგრონომი.

ამ ჟამად ჩვენი მუშაობა გამოიხატება შემდეგში:

აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში ინტენსიურად ვაგროვებთ იმ სესხად გაცემულ სათესლეს, რომელიც დაურიგდა მიწის მუშებს 1921 წ. და მიმდინარე წლის გაზაფხულს.

ადგილებიდან მოსულ ცნობების მიხედვით, აკრეფილია 60-70 პროც. სამაზრო ნათესის.

გლეხები სიამოვნებით აბრუნებენ სესხს, უარის თქმის შემთხვევები ჯერ თითქმის არ ყოფილა.

დასავლეთ საქართველოს მაზრებში, სადაც განსაკუთრებით გაცემულია სესხად სიმინდი, სწარმოებს წინასწარი საორგანიზაციო მუშაობა სესხის ასაკრეფად: მოეწყო ამისათვის საჭირო საწყობები და სხვა. მოსული ცნობების თანახმად ამ მაზრებში კარგ მოსავალს უჩანს პირი, და თესვის კომისიები არწმუნებენ ცენტრს, რომ მცხოვრებლები დაჩქარებით გაისტუმრებენ ვალს.

აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში დაიწყო სამაზრო თესვის კამპანია. თესვის კომიტეტები ხელ ახლად ურიგებენ სესხად სათესლედ იმათ, ვისაც საჭირო თესლი არა აქვს. განსაკუთრებით ახალქალაქის მაზრა იმყოფება ამ მხრივ უმწეო მდგომარეობაში, ვინაიდან დასეტყვილია 7 ათასი დესეტინა დათესილი მინდვრებისა. საჭირო თესლის ნაწილი გაცემული იქნება ადგილობრივი თესვის კომისიისაგან, ცენტ. კომისიამ კი აღძრა შუამდგომლობა სასურსათო სახ. კომისარიატის წინაშე დაეთმოს ახალქალაქის თესვის კომისიას ხუთი ათასი ფუთი სათესლე სესხის სახით ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში შეკრეფილ სასურსათო გადასახადიდან.

ცენტრალური თესვის კომისია ვალდებულია 1923 წლის პირველ იანვრამდე დაუბრუნოს სასურსათო კომისარიატს აღნიშნული სესხი საზაფხულო კულტურით. დაუთესავად დარჩენილ ადგილებში გაზაფხულს დათესილი იქნება საზაფხულო კულტურა.

ბორჩალოს მაზრაში სეტყვის გამო განადგურებულია 3 ათას დესიატინამდე პურის ნათესები, განსაკუთრებით მაღლობებიან ადგილებში, სადაც უფრო ხაროპს საზამთრო კულტურა.

ეს მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება ბორჩალოს თესვის კომიტეტის საკუთარი საშუალებით.

ახალ სენაკის მცხოვრებლებმა თხოვნით მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას დახმარება აღმოუჩინონ მათ საზამთრო ხორბალის მარცვლეულით, ვინაიდან გამოცდილებამ დაარწმუნა ისინი, რომ ამ მაზრაში უფრო კარგ მოსავალს იძლევა ხორბალი, ვინემ სიმინდი.

თესვის ცენტრალური კომიტეტი გამოეხმაურა და მოიწონა ეს სურვილი და აგზავნის იქ კახეთიდან და გორიდან 3 ვაგონ სათესლე ხორბალს, და სამ ვაგონს სთხოვს სესხის სახით სასურსათო სახალხო კომისარიატს გორის მაზრის სასურსათო გადასახადიდან იმ ვალდებულებით, რომ დაუბრუნონ საზაფხულო კულტურის საშუალებით, შემოღებულ ეკვივალენტის მიხედვით; ასეთი სურვილი აქვთ ზუგდიდის მაზრის მცხოვრებლებს, მაგრამ ამ შემთხვევაში დიდი დახმარება არ დასჭირდება აღნიშნულ მაზრას. იმის გამო, რომ ადგილობრივ თესვის კომიტეტს მოეპოება განსაკუთრებით სათესლე სიმინდი, ხოლო სხვა მაზრებიდან მიწოდება შეუძლებელი ხდება, ვინაიდან საამისო დახმარების აღმოჩენა მათ არ ძალუძთ.

მომავლისათვის მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატი შეეცდება თვითეულ მაზრაში შემოიღოს სათანადო ფონდი, როგორც საზამთრო, ისე საზაფხულო კულტურის.

როცა ასეთი ფონდი შეიქმნება, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს შეეძლება მიაწოდოს დახმარება ნაკლებ მოსავლიან ადგილებს.

შეისყიდის თუ არა მიწად მოქმედების კომისარიატი სათეს მასალებს?

შესყიდვას მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი დამთავრებულად სთვლის, და მის განკარგულებაში არსებული თესლის ფონდი, შინაგანი განაწილებით გაიზრდება მაზრებში არსებულ მოთხოვნილების მიხედვით.

ჩვენს მორიგ ამოცანას წარმოადგენს ჩვენ განკარგულებაში არსებულ თესლის ფონდის (407 ათასი ფუთის რაოდენობით) გაუმჯობესება, მისი ქიმიური გაწმენდით, რისთვისაც საჭირო იქნება თვითეული მაზრისათვის სათანადო მანქანების და აგრეთვე საწამლო საშუალებების მიწოდება ჭუჭყისაგან და პარაზიტებისაგან გასაწმენდათ, რათა მცხოვრებლებს მიეცეს ამგვარი საშუალებით გასუფთავებული სათესი მასალები, ვინაიდან მხოლოდ ასეთ თესლებს შეუძლია რესპუბლიკის მეურნეობის აღდგენა.

ამავე დროს მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატი ცდილობს თვითეულ მაზრაში და მის რაიონებში გააშენოს სანიმუშო ადგილები, რათა მცხოვრებლებს აუხსნას და განუმარტოს, თუ როგორ უნდა მეურნეობის დაყენება და როგორი ხარისხის თესლი ხარობს ადგილობრივ. უკანასკნელი ზომების ცხოვრებაში გატარების სისწრაფე დამოკიდებული იქნება მხოლოდ იმ საშუალებებზე, რომელიც მოეპოება მიწად-მოქმედების კომისარიატს.

მ—ი.

ეკონომიური ცხოვრება

თბილისის ბორჟა

თბილისი. 16 სექტემბერი (რადიო). თბილისის სავალუტო სავაჭრო ბირჟის ოფიციალური ბიულეტენ: ოქროს 10 მან—1,100,000 ოსმალური ლირა—180,000. გირ. სტერლინგი.—1,175,000. დოლარი—255 000.

ბაქოს ბირჟა

ბაქო., 12 სექტემბერი. ბაქოს ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი.

	10 სექტ.	11 სექტ.
დოლარი	6,500 000	6,600,000
გირ. სტერ.	29,900,000	30,000,000
ფრანკი	550,000	590,000
იტ. ლირა	290,000	290,000
ოსმ. ქაღ ლირა	4,500,000	4,550,000
გერმან. მარკა	8,000	8,000
რუს. ვალდ.	96	96
„ 1922 წ. (შემოკ. 100 ათასამდე)	96	96
რუს. ვალდ. 1922 წ.(შემოკ. 100 ათას ზევით)	94	94
რუს. ვალდ. (10 მილ. ვალდებ.)	90	88
შემოკ. ვალდებ. 5000 და 10000	94	94
ქართული	2,650	2,650
ოქ. 10 მან.	29,700,000	30,300,000
ოქროს ოსმალ. ლირა	24,500,000	25,000,000
ნატეხი ოქრო (56 საწ.)	5,800,000	5,800,000
ვერცხ. 1 მან	1,650,000	1,650,000
წვრილი ვერცხლი 1 მან.	675.000	675,000

განწყობილება მტკიცეა.

თავრიზის ბირჟა

თავრიზი. 22 სექტემბერი. ვალუტის კურსი 21 აგვისტოსათვის კრონებში: ოქროს 10 მან.—60,40. ოქროს ლირა—53,60. გირ. სტერლ ნ.—55. დოლარი—12,30. ქაღალდის ლირა—8,30. დოლარი—13,30. საბჭოთა ფულის ნიშნები 1 მილ.—3 50. ქართული—60. აზერბეიჯანის—3,50.

რომის ბირჟა

რომი, 14 სექტემბერი, (რადიო). პარიზი—179,50. ლონდონი—105,40. შვეიცარია—448,00. ნიუ იორკი—23,82 ბერლინი—1,60. რენტა—72,62. კონსოლიდ.—82,05.

ლონდონის ბირჟა

ლონდონი. პარიზი—58,38. ნიუიორკი—4,4213. ბრიუსელი—61,95. ჟენევა—23,625. მილანი—105,00 ბერლინი—6750,00. ვენა—335000,00. პრაგა—123,00. გელსინგფორსი—205,00. მადრიდი—23,95.

პარიზის ბირჟა

პარიზი: 15 სექტემბერი (რადიო). ლონდონი—58,025. ნიუ იორკი—13,1530. გერმანია—1,90. ბელგია—94,50 ისპანია—199. ჰოლანდია—508 25. იტალია—55,30. შვეიცარია—246,50. ფრანგული რენტა—3 პრ. 63,94 4 პროც.—1918 წ.—90,65. 6 პროც 1920 წ.—92,90. ოტომანის ბანკი—727,00 ოტომანის თამბაქო—404,00.

პროვინციაში

ბორჩალო

ბრძოლა ბანდიტიზმის წინააღმდეგ.

ამ ჟამად ბორჩალოს მაზრაში სრული სიმშვიდეა. არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა ბანდიტიზმისა. ერთი თვენახევრის წინად ადგილი ქონდა გაძარცვის რამდენიმე შემთხვევას, რომელიც ამ ჟამად სავსებით მოისპო. ყველაზე გამოჩენილი ბანდიტები 12 კაცისაგან შემდგარი ბრბო შეპყრობილია, დანარჩენები თვით დანებდნენ ხელისუფლებას, რისთვისაც ისინი შეწყნარებულ იქნენ. შეპყრობილ ბანდიტებიდან ზოგიერთები დახვრიტეს.

ამ ჟამად, ყოველ შემთხვევაში გლეხების და ქალაქის მკვიდრთა ცხოვრება მშვიდობიანად მიმდინარეობს.

კომპარტიის ავტორიტეტი.

რამდენადაც ძლიერია ხელისუფლების და კომპარტიის ავტორიტეტი მცხოვრებთა ფართო მასების თვალში, შეიძლება დავამტკიცოთ მრავალი მაგალითებით. აღვნიშნავთ ასეთ შემთხვევას:

3 სექტემბერს მაზრის მუსლიმანი მცხოვრებნი ყოველთვის სისხლის ღვრით აღნიშნავდენ ხოლმე ტრადიციულ დღესასწაულს შახსეი-ვახსეის. წელს კი არავითარი სისხლის ღვრა არ ყოფილა. ჩვენი წინასწარ ვაწარმოვეთ სათანადო აგიტაცია, დავგზავნეთ ამხანაგები მუსლიმანებით დასახლებულ რაიონებში, ვმართავდით მიტინგებს, კრებებს და საუბარს. ბოლოს მოხუცებულებმაც კი აღიარეს, რომ დაუშვებელია ამ დღესასწაულის სისხლის ღვრით აღნიშვნა.

ეროვნებათა ურთიერთობა. ჩვენი გამარჯვების შესახებ ამ სფეროში არა ერთხელ იყო აღნიშნული პრესაში. არა მარტო მშვიდობიანობა სუფევს დღეს ბორჩალოს მაზრის აჭრელებულ ეროვნებათა შორის, არამედ ბევრი შემთხვევა იყო ძმური თანამშრომლებისა და დახმარებისა.

ერთად ერთი გერმანელები ყველაზე შეძლებული და კულტურული ელემენტი—არის განმარტოებული. შიგნით დარაზმულნი და შეკავშირებულნი გერმანელები ლოიალურად უცქერიან საბჭოთა ხელისუფლებას, წესიერად იხდიან ყოველგვარ ბეგარას და გადასახადებს. წინანდებურად, მაზრის საზოგადოებრივ, სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ არ სურთ ჩარევა. ისინი სცხოვრობენ კარჩაკეტილად. ხოლო ამავე დროს, კულტურული ძალების მნიშვნელოვანი კადრის, სამეურნეო აღმშენებლობის დარგში დიდი ცოდნისა და გამოცდილების საშუალებით მათ შეეძლოთ დიდი დახმარება გაეწიათ ადგილობრივ მცხოვრებთათვის.

ჩვენ დღეს ვხმარობთ ყოველგვარ საშუალებას ჩავაბათ გერმანელები მაზრის საერთო ცხოვრებაში. გადაწყდა ახლომომავალში მოწვეულ იქნეს გერმანელ-კომუნისტების დელეგატების კონფერენცია ამ საკითხის განსახილველად. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ თან და თან შევსძლებთ ამ საკითხის გადაწყვეტას.

სამეურნეო ცხოვრება. რაც შეეხება მაზრის სამეურნეო ცხოვრებას, წელს ეს ცხოვრება ხელსაყრელ პირობებში არის ჩაყენებული. ორი ფაქტორი უწყობს ხელს ამ ცხოვრებას: კარგი მოსავალი და საქონლის წარჩინებული მდგომარეობა.

რაც შეეხება მოსავალს, ზოგიერთ რაიონებში მან გადააჭარბა ყოველივე მოლოდინს. ხორბლეულობა უკვე აკრეფილია, დარჩა მხოლოდ ვენახები და სიმინდი. მცხოვრებნი დღეს სხვა სამუშაოებში არიან ჩაბმულნი, და ყურადღებას არ აქცევენ სიმინდს, ხოლო ზოგიერთ ადგილებში გლეხები არც კი აპირობენ შეუდგენ სიმინდის სისტემატიურ და გეგმაშეწონილ მოწევას: ფიქრობენ მოიწიონ სიმინდი ნაწილ ნაწილად სამეურნეო მოთხოვნილებათა მიხედვით. ჩვენ გავილაშქრეთ ამის წინააღმდეგ და განუცხადეთ, რომ დაუშვებელია ერთი მარცვალი სიმინდის დაკარგვაც კი. იმ ყანებს, რომელსაც არ ექნება მიქცეული სათანადო ყურადღება. ჩვენ თვითონ მოვიწევთ. ამ განცხადებამ სათანადო გავლენა მოახდინა გლეხობაზე. სტიქიურ უბედურებათა მიერ დაზარალებულ რაიონად ითვლება **გომარეთი** მაშქიჩეთის უბანში. აქ სეტყვამ გაანადგურა ყველა ნათესები და მცხოვრებნი შიმშილობის პირას არიან მიყვანილნი. იქ გაიგზავნა სპეციალური კომისია ზარალის და დახმარების რაოდენობის გამოსარკვევად. უკანასკნელი რა თქმა უნდა აღმოჩენილი იქნება

სასურსათო გადასახადი.

კარგი მოსავალი იძლევა იმის გარანტიას, რომ სასურსათო გადასახადის კამპანია სასურველ შედეგს მოგვცემს. სასურსათო გადასახადი მთელ მაზრაში სრულად იქნება შეკრებილი. მუშაობას ეს არის შეუდგენ—შულავერის რაიონში უკვე შეკრებილია 3.000 ფუთი ხორბალი და 100 ფუთი ქერი, გადამხდელთა სიების შედგენა სწარმოებს სასურსათო სახალხო კომისარიატის ინსტრუქტორის ამხ. დროზდოვის მონაწილეობით. სულ მაზრაში გაწერილია 80 ათასი ფუთი ხორბალის ერთეული.

წარმატებით სწარმოებს და თითქმის დამთავრდა შარშანდელი წლის ნაშთის აკრეფა.

შემოდგომის ნათესები.

ამა თუ იმ სააგიტაციო კამპანიის წარმოების გარეშე—თვითონ გლეხები შეუდგენ უკვე შემადგენლობის თესვას. შემოდგომის ნათესების არე წელს გაცილებით მეტი იქნება შარშანდელზე.

მიწათმფლობელობის გაუგებრობას მაზრაში ადგილი არ ჰქონია.

[illegible]

გულდამწვარი დაკოდილი მშობლები იასონ და [illegible] ცრემლის მორევითა და გულამოქვითინებით აცხადებენ, რომ [illegible]ზე მოყოლებით 4 თვის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ წალვერიდან თბილისს აქიმების რჩევით კლინიკური მკურნალობისათვის წამოყვანის დროს სადგურ ქსანის მახლობლად 13 სექტემბერს დილის 7 ს. მატარებელში გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი შვილი

ოქროპირ-გულიკო

სთხოვენ ნათესავებს, ამხანაგებსა და მეგობრებს პატივი სცენ მათ, დასაფლავების პროცესიაში მონაწილეობით. მიცვალებულის გამოსვენება მოხდება მიხეილის საავადმყოფოდან კვირას 17 სექტემბერს საღამოს 5 საათზე ახალი დროით, დასაფლავება ნიკოლოზის სასაფლაოზე, ვერაზე.

(443—2—2)

გულდამწვარი ქმარი ივანე ვასილის ძე სვანიძე შვილებით თინათინ და რუსუდანი, რძალი ელენე სვანიძისა შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ, და ნაცნობთ, რომ კვირას, სექტემბრის 17-ს, ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში წირვის შემდეგ 12 ნახ. საათზე გადახდილი იქნება საორმოცო პანაშვიდი

ოლღა (გოგუცა) ივანეს ასული სვანიძისა

(323—2—2)

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის

სავალდებულო დადგენილება № 11.

16 სექტ. 1922 წ.

§ 1.

თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის ა. წ. 24
ლისის თარიღით და 6 №-ით გამოცემულ სავალდებ
დადგენილების დამატებით, შრომისა და ტვირთზიდვის
გარის მოხდის წესის შესახებ, ქალაქის აღმასრულებ
კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

სამუშაო საქონლის ორ ერთეულზე ზევით თვით
სულზე შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის ს
გაწერილ იქნეს გადასახადი 5 მანეთი ოქროთი.

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომ
მოადგილე—ი. წივწივაძ
მდივანი ხუნდაძ

(2—1)

თბილისის აღმასრულებელ კომიტ თან არსებული შრომისა და ტვირ ზიდვის გადასახადის ფულით შე ლის კომისია

ამით აცხადებს ყველა მოქალაქეების საყურადღებ
რომ იმ პირებს, რომელნიც არ წარადგენენ შრომის
ტვირთზიდვის გადასახადს ა. წ. 18 სექტემბრამდე,
ახდევინებენ შრომის და ტვირთზიდვის გადასახადის
ჯარიმას 50 ათას მანეთს ვადის გადაცილების შემდე
ველდღიურად.

კომისიის თავმჯდომარე დ. თაქთაქიშვილ
პასუხისმგებელი მდივანი, კომისიის წევრი ა. რუხაძ

(2—1)

გაზეთის ტრესტის პროვინციალ კონტრ-აგენტების

საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგი
კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელიც
საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებ
სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კო
აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყ
ლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიიცემა პა
გებაში.

(0—23)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლი

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

(304—25—

დავკარგე ლაშე-ღვერკის მთლიანი 8 წლიან შრომის დამთავრების მოწმობა № 27 და მეტრიკუ
წერილობა ვახტანგ არტემის ძის ჩხეიძის სახელზე. გთხოვთ ჩაბ
გაუქმებულად.

(327—1—

დავკარგე ბავშვი სასტუმრო „ზავ“-დგან შალიკო
ლიძე, ვთხოვ მნახველს გამოაცხადოს მე
ონში, ან ალექსანდროვის ქუჩა სახლი № 53. მომნახველი მიიღებ
ქარს. ბავშვის ხნოვანობა 6 წლ. შავგვრემანი. **მიხა კერვალიძე.**

(325—3—

[illegible] ნ. დ. ს. ც.

საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.